


საქართველოს რესპუბლიკა

ვებ გვერდი: www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საცემში, ბეჭდით ბეჭდვით სიფყვას, ფეხილებით და ჭაბჭაბით ბუბუბის გატანა ყველა უკარბისმბაჭ უსამაგლესია.



შაბათი, 23 იანვარი. 2016 წ. №13 (7905), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

**გვარამია, ქართული მუსიკა
შენზე არამია, არა ხარ ღირსი,
მაგრამ უნც
ფალიაშილის
ჰანბებით
დაბასამარებენ!**

6

3

**განასოცოებული
იზიარდი და სხვები,
ანუ „ქართული მოხუცის“
ამომრჩეველის სხვაგვარი ფიქრები**

კობახიძე-ვოლსკი-კვაჭანტირაძის კომენტარებს შორის ისეთი მსგავსებაა, ერთმანეთისგან გადაწერილი გეგონებათ. ძირითადი ლაიფმოტივი კი ამ ფრაზაში იკითხება – „ყველა პროფესიის ადამიანს აქვს უფლება, საკანონმდებლო ორგანოში იყოს ხალხის წარმომადგენელი“... – ნუცას სკოლაა?... ამაზე მეტი დემოგოგია რა გინდათ?

**ალიანსი კვლავ გვკვებენ!
ნახევარი მილიონი
გაუთხოვარი
ქართველი ქალი
და კვრ-
პარლამენტის დასკვნა**

4

ბიორბი ბაგაშვილის ნახატი

**ალაშენებული
მსოფლიო ალიანსი**

სამართლებლო უდიდესი მეფე დავით მე-6-მან აღმაშენებელი მსოფლიოს საუკეთესო მხედართმთავრების სუთეულში მოხვდა. როგორც საიტზე – thetoptens.com – განთავსებულ პუბლიკაციაშია აღნიშნული, დავით აღმაშენებელი შესაბამის ნუსხაში მესამე ადგილს იკავებს. სიას სათავეში ალექსანდრე მაკედონელი უდგას, მეორე ადგილზეა თრან ჰუნგ დაო. დავით აღმაშენებლის მომდევნო პოზიციებს კი ნაპოლეონ ბონაპარტი, ჰანიბალი, იულიუს კეისარი და ჩინგიზ ყანი იკავებენ.

**ჭიათურაში
არსებულ
ეკოლოგიურ
კატასტროფას,
უხსოვროს,
სოციალური
დაემატოს**

5

**ალიანსს თუ არა
განათლების
სამინისტრო
ბულინგს,
როგორც
პრობლემას?! 11**

	უხსოვარი ვალუტის კურსი: აშშ დოლარი - 2.444; ევრო - 2.663; ბრიტანული გირანაბა სტერლინგი - 3.456; 100 რუბლი - 2.905; თურქული ლირა - 0.805; აზერბაიჯანული მანათი - 1.515; 1000 სომხური დრამი - 5.052	ანიონი 23 იანვრისთვის აღმოსავლეთი საქართველო: ბაზი - ღამე -2, ღვთ +11 შიონი რაიონები - ღამე -6, ღვთ +3 დასავლეთი საქართველო: ბაზი - ღამე +1, ღვთ +7 შიონი რაიონები - ღამე -2, ღვთ +4 თბილისი: ღამე -1, ღვთ +8	ჩვენი მისამართია: თბილისი, მანაგლიძის ქ. №7 რეკლამა: 293-37-87, 599-79-76-79
--	---	---	--

სტოლტენბერგი კვირიკაშვილთან უხვპდრით კავშირშია



საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ნატოს გენერალურ მდივანს იენს სტოლტენბერგს შეხვდა. შეხვედრა დაავსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გაიმართა. მხარეებმა საქართველოს ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების პროცესთან დაკავშირებული საკითხებზე ისაუბრეს და მიღწეული პროგრესი შეაფასეს. ნატოს გენერალური მდივანის განცხადებით, ბოლო წლებში, საქართველომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სტანდარტებთან დაახლოების გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა.

პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა იენს სტოლტენბერგს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ ნატო-საქართველოს ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდება.

„ეს იყო ბრწყინვალე შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან. ეს იყო ჩვენი პირველი შეხვედრა მას შემდეგ, რაც გიორგი კვირიკაშვილი საქართველოს პრემიერ-მინისტრი გახდა, თუმცა მე მას ვიცნობდი საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს, დღეს კი მომეცა შესაძლებლობა გამეცნო ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვისაუბრეთ მოახლოებულ ვარშავის სამიტზე. ასევე ვისაუბრეთ მომავალ თავდაცვის მინისტრიალზე, რომელიც გაიმართება თებერვალში და სადაც შედგება ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაც. ეს იყო ბრწყინვალე შეხვედრა და მე ვგეგმავ საქართველოსთან თანამშრომლობის გაგრძელებას“, — განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ ნატოს გენერალურმა მდივანმა.

ევროპარლამენტი ჩაკონსტიტუციას არ იბუჩებს

ევროპარლამენტმა უკრაინას, საქართველოსა და მოლდოვასთან ასოცირების შეთანხმებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ რეზოლუციის საბოლოო ვარიანტი გამოაქვეყნა. დოკუმენტში მოზიქურად არის შეფასებული საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი, რომელიც ევროკავშირის სტანდარტებთან ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებაში, სტაბილური პოლიტიკური გარემოს შექმნასა და მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებაში აისახა. აქვე ევროპარლამენტი შემოთავაზებს გამოთქვამს მედიაციურ რაიზონისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის კუთხით საქართველოში არსებული ვითარების და იმ ბუნდოვანი კრიტერიუმების გამო, რომლითაც პროკურატურაში გამოიმძიებლები ინიშნებიან.

„სასამართლო, პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო და უსაფრთხოების სამსახური უნდა იყოს დამოუკიდებელი, გამჭვირვალე და პროფესიონალური კადრებით დაკომპლექტებული. პოლიტიკურ ოპონენტებზე ზეწოლისა და მათი დაშინების ნებისმიერი მცდელობა კი დაუყოვნებლივ უნდა იქნას გამოძიებული.“ — ნათქვამია დოკუმენტში. რეზოლუციაში შემოთავაზდა გამოთქმული „რუსთავი-2“-ის საქმესთან დაკავშირებით და წინასწარი დაკავების იმ მექანიზმების გამო, რომელიც პოლიტიკური ფიგურების წინააღმდეგ გამოიყენება. ევროპარლამენტი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, 2016 წლის არჩევნების



ნინ მედიაციურალიზმი, სასამართლოს დამოუკიდებლობა და პოლიტიკურ ოპონენტებთან დიალოგი უზრუნველყოს, რაც დაბალანსებული პოლიტიკის დემოკრატიის განვითარებისთვის აუცილებელი წინაპირობაა.

საკონსტიტუციო სასამართლოს ინფორმაციით, ევროპარლამენტი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, დაიცვას მოსამართლეები და მათი ოჯახის წევრები.


„რეზოლუციის 21-ე პუნქტი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ესება, ევროპარლამენტი საქართველოს მთავრობას საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებისა და მათი ოჯახის წევრების მიმართ განხორციელებული ზეწოლის ფაქტებზე ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის მიერ 2015 წლის 22 სექტემბერს გაკეთებულ განცხადებაზე მიუთითებს და მოუწოდებს საქართველოს მთავრობას მიიღოს შესაბამისი ზომები. „მათ შორის გადადგას ადეკვატური ნაბიჯები სასამართლოს წევრებისა და მათი ოჯახების დასაცავად, ასევე სრულად გამოიძიოს განხორციელებული მუქარის ფაქტები და სამართლებრივი პასუხისმგებლობაში მისცეს კანონდამრღვევები,“ — აღნიშნულია ევროპარლამენტის რეზოლუციაში.

ჯანელიძის დავოსური შეხვედრები

დავოსში „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“ ფარგლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ შეხვედრები გამართა ავსტრიის ვეროპის, ინტეგრაციისა და საგარეო საქმეთა მინისტრთან სებასტიან კურცთან, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრთან პაოლო ჯენტილონისთან და მონღოლეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ლუნდგე პურვესურენტან.

დაქვეყნდა საქართველოს ევროპული მისწრაფებებისა და საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების მიმოხილვა.

ლუნდგე პურვესურენტან შეხვედრისას მინისტრებმა განიხილეს ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივები. აღინიშნა, რომ „აბრეშუქის გზის“ ფარგლებში არსებული პროექტები, ასევე საქართველოს ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები ახალ შესაძლებლობებს უხსნიან მონღოლეთსა და საქართველოს ურთიერთობების გაღრმავების კუთხით.



სებასტიან კურცთან შეხვედრისას მინისტრებმა მიმოიხილეს ორ ქვეყანას შორის უკვე ჩამოყალიბებული ორმხრივი ურთიერთობების ფორმატები. ხაზი გაესვა ავსტრიის მხარდაჭერის მნიშვნელობას ვიზალიზებული იტალიის პროცესში და, ზოგადად, საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე.

იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრისას განხილულ იქნა ორმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელოვანი ასპექტები, ხაზი გაესვა ევროპული და ევროპულ-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში იტალიის მხარდაჭერის მნიშვნელობას.

პაოლო ჯენტილონი მხარდაჭერას გამოხატა საქართველოს ევროპული მისწრაფებების მიმართ და აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლებას უნდა შეეძლოს დაეხმაროს ევროპული ინტეგრაციის პროცესში.

ნარმანია. თბილისის ზღვა და სლოვაკეთი

თბილისის მერი დავით ნარმანია საქმიანი ვიზიტით სლოვაკეთის რესპუბლიკას ეწვია. ვიზიტის ფარგლებში ქალაქის მერი შეხვედრებს სლოვაკეთის ბიზნეს-წრეების წარმომადგენლებთან, საერთაშორისო საპროექტო არქიტექტორულ ორგანიზაციებთან და საბანკო-საფინანსო სექტორების წარმომადგენლებთან მართავს. დავით ნარმანიასთან ერთად ბრატისლავაში გამართულ შეხვედრებს საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელი დავით საგანელიძეც ესწრება. ვიზიტის მთა-

და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყველაფერი ასეც იქნება. პროექტი, ერთი მხრივ, იქნება ინოვაციური და, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს ქალაქის ეკონომიკურ განვითარებას, შესაბამისად, მნიშვნელოვანია როგორც დედაქალაქისთვის, ისე საზოგადოებისთვის“, — განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ.

ბრატისლავაში გამართულ შეხვედრაზე საუბარი შეესრულა მომავალ პროექტის შინაარსს, მის პერსპექტივებსა და ქართული მხარის როლს სლოვაკურ,



ფარი თემა თბილისში, ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ეკოლოგიურად სუფთა, მწვანე ქალაქის განაშენიანების პროექტს — „ეკო გრინ სიტი“-ს უკავშირდება.

„ჩვენი ვისაუბრეთ, როგორც პოტენციურ საპროექტო ორგანიზაციებთან, ასევე, საბანკო-საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებთან, ვინც აქტიურად უნდა იყოს ჩართული პროექტის განხორციელებაში, რათა ჩვენი ქალაქისათვის, მართლაც, მნიშვნელოვანი პროექტი მივიღოთ

მოცულობითი ინვესტიციების განხორციელების პროცესში. სლოვაკეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ალექსანდრე ნალბანდოვის განცხადებით, აღნიშნული პროექტის განხორციელება ქალაქის განვითარებას შეუწყობს ხელს, ხოლო ეკონომიკური კავშირების გაძლიერება საქართველოსა და სლოვაკეთს შორის, ურთიერთობებს კიდევ უფრო მეტად გააღრმავებს.

რას უფუნებს ნანუაშვილი მთავრობას?

სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, მიმართოს ყველა არსებულ ზომას სმაურის საკანონმდებლო დონეზე, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი ფორმით დასარეგულირებლად და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომების გასათვალისწინებლად.

კითხთა კომიტეტმა განმარტა, რომ ამ ეტაპზე კანონპროექტი გამოთხოვილია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომპეტენტური უწყებების განსხვავებული პოზიციების გამო, რაც უკავშირდება „ხმაურის“ დეფინიციის განსაზღვრას, განგრძობადობას, ასევე ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

საქართველოს სახალხო დამცველი სწავლობს თბილისში, აგლადის ქუჩის მაცხოვრებელთა კოლექტიურ განცხადებას, რომელსაც 343 პირი აწერს ხელს. განცხადებაში აღწერილია სამრეწველო და სხვა დანესებულებებში დამოძინარე ხმაურის შედეგად მოსახლეობაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა. აღნიშნული პრობლემის მოწესრიგების მიზნით, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილ იქნა საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის“ თაობაზე და ის შესული იყო პარლამენტის მიმდინარე სესიის დღის წესრიგში. მოგვიანებით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიმართვაზე პასუხად, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ სა-

გარემოს ხმაურით დაბინძურება წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის. ის ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს თითოეული ადამიანის ფუნქციონირებასა და კეთილდღეობაზე. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დოკუმენტებით და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მიუთითებს ხმაურის რეგულირების საკითხის მჭიდრო კავშირს ჯანმრთელობის დაცვის, სოცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრებისა და პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებებთან.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო არ ასრულებს თავის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს და არღვევს ადამიანის უფლებების დაცვის, სოცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრებისა და პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებებს. აღნიშნული ვითარება დაუყოვნებლივ საჭიროებს გამოსწორებას.

ამთავრობის საზღვარსაღმის ვაგონი: 1. ვარ „ქართული ოცნების“ რწმუნებულნი მყოფნი და არჩევნებში ხმას სწორად ამ პარტიას მივცემ; 2. უაღრესად დიდ პატივს ვცემ იმ ადამიანებს, ვის მიმართაც გულგრილობაა მართლაც კრიტიკის შედეგი, ზომიერი მათგანთან საერთო სამომავლო გზაზე; 3. მხარს ვუჭერ და ვცხადებ პარტიის მიმართ: მომხრე ვიქნები უკრაინაში...

ახლა საქმე: ოფიციალურად ვერ არ დანებდებულმა, მაგრამ რეალურად სტარტალებულმა წინა-საარჩევნო პროცესმა გააძლიერა მმართველ პარტიაში არსებული ნაკლოვანებები, სუსტი რგოლები და, აქედან გამომდინარე, განსაზღვრა ამოცანები და პრიორიტეტები. „ქართული ოცნების“ ჯერ კიდევ ერთი წლის წინ გაცხადებული პასუხი, რომ აუცილებელია ფართომასშტაბიანი სტრუქტურული და საკადრო რეორგანიზაცია, შექმნილი რეალობის ადეკვატურია და სრულ მხარდაჭერას იმსახურებს.

თავშივე ვთქვი და ვიმეორებ, „ქართული ოცნების“ ამომრჩეველად ვრჩები, რადგან ამ პარტიას რესურსის ჯერ მხოლოდ მცირე ნაწილი აქვს განარჯული (გარემოებათა გამო) და არც მუტ-ნაკლებად ანგარიშგასაწვეი ალტერნატივა იკვეთება უახლოეს მომავალში. ჩემი, როგორც ერთი მხარდამჭერის და ერთი მოქალაქის, სურვილია, გავხადე რეალური ცვლილებების მონაწილე და როგორც ამომრჩეველი – მონაწილე. მან უნებს იმაზე ფიქრი, რომ ეს ცვლილებები შედარებით დუნედ მიმდინარეობს, პრაქტიკულად, მის შედეგებს მას ვერ გრძნობს და ამის გამო საზოგადოების თვალში „ქართული ოცნება“ ქულებს კარგავს.

მაგანისთვის ეს შესაძლოა საკამათო მოსაზრება იყოს. მაგრამ, განსჯისთვის, მოდით, საპარლამენტო ცხოვრებას დავაკვირდეთ, სადაც თვალსაჩინოების ხარისხი გაცილებით მაღალია, ვიდრე შიდაპარტიულ რგოლებში და პარტიულ სამზარეულოში. ამასთან, ვფიქრობ, პარლამენტზე დაკვირვება იქნება ანალიზის განვრცობისა და განზოგადების კარგი საშუალება.

საქართველოს მოქმედი პარლამენტი, საერთო შეფასებით, სუსტია, უაღრესად სუსტი. სუსტია დეპუტატთა დიდი უმრავლესობის საპარლამენტო საქმიანობისთვის, რბილად რომ ვთქვათ, მოუმზადებლობის გამო. ვიზიარებ მოსაზრებას, რომ ეს მწარე რეალობა, სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად, ძირითადად ობიექტური გარემოებით იყო და არის გამოწვეული, მაგრამ ქვეყნისთვის ეს ვერაფერი შედეგადაა.

როდესაც პარტიის აღმასრულებელი მდივანი ამბობს, რომ საპარლამენტო საქმიანობაში არის სერიოზული ხარვეზები სამართლის სფეროს, ეკონომიკის დარგებისა და საგარეო პოლიტიკის სპეციალისტების დეფიციტის გამო, ეს მის მიმართ ნდობით განმანწყობს. ნდობით განმანწყობს იმის გამო, რომ სიმართლეს ამბობს და კიდევ იმის გამო, რომ ნაკლოვანებების ხალხის სამსჯავროზე გამოცანა (საზოგადოების ჩართულობა ნდობასაც ამალგებს და ურთიერთპასუხისმგებლობა-საც) პარტიის მმართველი რგოლის პრინციპულობაზე და ურყევ ნებაზე მიანიშნებს.

როდესაც ვკითხულობ, რომ მსახიობები და სპორტსმენები, „არსებული სიჭარბით“ (!!!) მომავალ პარლამენტში არ იქნებიან წარმოდგენილი, ჩემი მხარდაჭერა კიდევ უფრო ძლიერდება, რადგან ამ მოსაზრების გამხმოვანებელს „სიჭარბებიც“ ვეთანხმები და, გარდა ამისა, ვეთანხმები იმაშიც, რომ კითხვაზე პირდაპირი პასუხი უნდა გაცემულიყო, მიკბულ-მიკბულად განვრცო, პრობლემაზე ნაყრუების გარეშე (ყურნალისთვის კითხვაში სტრიქონებს შორის აშკარად იკითხება, რომ დეპუტატის ეს ჯგუფი (მისი გარკვეული ნა-

წილი) არა მარტო სუსტი რგოლი, არამედ საყოველთაო ქილიკის ობიექტია).
 მთავარ სათქმელსაც მივადექი... იმას, რასაც „ქართული ოცნების“ მხარდამჭერისთვის ჯანსაღი თვითკრიტიკა და თვისებრივი ცვლილებებისთვის მზადყოფნა ჰქვია, პარტიის შიგნით სრულიად არაჯანსაღი (საღი აზრის პოზიციებიდან) აჟიოტაჟი მოჰყვა. სწორედ ამ აჟიოტაჟმა დამაფიქრა და, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ერთმა რიგითმა წევრმა, ჩემს მოვალეობად მივიჩინე, თვისებრივი ცვლილებებისკენ გადადგმული ეს კონკრეტული, ისევე, როგორც ყველა დანარჩენი თუ მომავალი ნაბიჯი, დავიცვა სუბიექტური ინტერესებით დალდასმული

იდან, რადგან მათ შერჩევაში სხვა ნიშანი უფრო სჭარბობდა, მაგრამ 28-30% საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია ქვეყნის მართვაზე მთავარი პასუხისმგებელი სუბიექტისთვის.
 უნდა ითქვას, ჩემს მიერ ჩამოთვლილ დეპუტატთა დიდი უმრავლესობა ირაკლი კობახიძის განცხადებას, სრულიად ბუნებრივი, „ოლიმპიური სიმშვიდით“ შეხვდა. ყურნალისტების მიერ თემის „გასკანდალურების“ მიზნით მრავლად დაგებულ ხაფანგში მხოლოდ ერთი-ორი (არცთუ შემთხვევითი) „მსხვერპლი გაება“. „მთავარი დარტყმა“ თავის თავზე ისევ და ისევ სოსო ჯაჭვლიანიმა აიღო, ამიტომ, მეც მას გამოვარჩევი. მით უმეტეს, ამ ნიჭიერი და ვაჟკაცური ბუნების

განგაშის ზარებს დაარისებ, არიქა, სპორტსმენებს და მსახიობებს გვებრძვიან და ჩვენს დისკრიმინაციას ახდენენ. ვიმეორებ, თუ ეს შეგნებულად გაკეთდა, არ არის საკადრისი საქციელი. ზოგიერთისთვის „თავზარდამცემ“ ინტერვიუში მთავარი (!) და განმსაზღვრელი ხომ სწორედ ეს სიტყვები – „არსებული სიჭარბები“ იყო. და არაფერი, მით უმეტეს ამ სიტყვების ავტორი თავს არ დასხმია არც სპორტსმენებს და არც მსახიობებს.

არადა, სწორედ ახლა გამახსენდა, ზოგიერთ ოპონენტს „იბიარდის“ მაღალი ხარისხის იუმორად შემოსაღება რომ უნდოდა, თანაც, „პოსლეზი“. ისევე, როგორც, საკუთარი „თეთრეულის“ გამომჟღავნება საჯაროდ, როცა სიამაყით საუბრობ იმ მანდილოსნებზე, როდესმე რაიმე „საქმე“ გქონია სპორტულ (და არა საპარლამენტო) საქმიანობის დროს. არა მგონია, ამ „სპორტის“ ავტორმა არ იცოდეს, რომ თბილისშიც, მსხტინაშიც, ვაშინგტონშიც, მოსკოვშიც, ორივე მანჩესტერშიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, მამ პარლამენტის აბსოლუტურ უმრავლესობაშიც, ერთი სახალი ჰქვია... იტყობა, ამ სიტყვების ავტორს ისეთი მოყვარე არ ჰყავს, პირში რომ უჭრას, ან ჰყავს, მაგრამ არ (პირ) შეიხმის, სოსო ჯაჭვლიანის ფილმის სიუჟეტს რომ დაეპყრობა – „განასოს(ო)ეზულია“.

მომავალი ოპონენტების საყურადღებოდ ვიტყვი: ჩემს ასეთ ღია და პირდაპირ საუბარს ის განაპირობებს, რომ ეს თუ მსგავსი (უფრო ხისტიც კი) შეფასებები საზოგადოებას უკვე აქვს გამოთქმული მედიაში, ინტერნეტში და არ მომწონს, როცა ჩემი (იმიტომ რომ ჩემი და ჩემნიარების მიერ არჩეული) ხელისუფლების არაერთი წარმომადგენელი სირაქლემის პოზას ირგებს, ვითომც აქ არაფერი, და კიდევ ის, რომ ბატონ სოსოს სწევია მორალზე და ურთიერთობის წესებზე, საჯაროდ, შეგონებით მანიპულირება და სხვების დამუნათება და, მისდამი კეთილი დამოკიდებულება მამატებს გამბედაობას, სარკემო ჩავახდლო. იმედი მაქვს, ეს გულშემატკივრული მაგრამ შედარებით „მკვახე შემახილი“ მაინც დაეხმარება „კულტურისა და სპორტის მტრებთან“ მებრძოლ დეპუტატს თავისი სახეცვლილი იმიჯის დანახვაში.

თემა შემძლია უსასრულოდ გავშალო, რადგან არაერთი პარლამენტარის (ცოდევა გამოტყვილი ჯობს და უნდა ითქვას: ორივე ფრთიდან!) გამოსვლა იძლევა მსგავსი „მკვახე შემახილის“ საბაბს. მაგრამ, მთავარი მაინც შეცდომების მიზეზის გარკვევა და მიზეზი კი ისაა, რომ, ჩემი მოკრძალებული აზრით, „ქართული ოცნების“ ზოგიერთი წარმომადგენელი მზად არ აღმოჩნდა საპარლამენტო საქმიანობისთვის და უჭირს ამის აღიარება, რადგან დეპუტატის სკამი არ ეთმობა და, აქედან გამომდინარე, ცდილობს, არ გაიზიაროს (ან წინ აღუდგეს) პარტიის ხელმძღვანელობის მიერ გამოხატულ ნებას საკადრო-საპარლამენტო კუთხით ძირეულ ცვლილებებთან დაკავშირებით.

სამართლიანობა აუცილებელია (I) მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ ბატონმა სოსო ჯაჭვლიანმა და მისმა სხვა „ოცნებელმა“ კულტურისა და სპორტის დარგზე დეპუტატის მანდატები სრულიად დამსახურებულად (II) მოიპოვეს... მაგრამ, არაერთხელ ითქვა, და ამაზეც ყველა თანხმდება, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის ქვეყნის წინაშე სულ სხვა გამოწვევები იდგა, სოლო დღეს თვისებრივად ახალ რეალობაში გვიწევს ცხოვრება.

ისე, ამ საკამათოდ გამხდარ უკამათო საგანს პაატა ბარათაშვილმა დაუსვა მსუყე წერტილი, ნერტილი კი არა – ძახილის ნიშანი: „არა მგონია, რაიმე უბედურებას ვქმნიდეთო“ (!).

იხ. 5 გვ.

განასოს(ო)ეზული იბიარდი და სხვები, ანუ „ქართული ოცნების“ ამომრჩეველის ხმაგადაცემის უიმჩრები



კობახიძე-ვოლსკი-კვაჭანგირაძის კომენტარებს შორის ისეთი მსგავსებაა, ერთმანეთისგან გადაწერილი გეგონებით. ძირითადი ლაიგმოტივი კი ამ ფრაზაში იკითხება – „ყველა პროფესიის ადამიანს აქვს უფლება, საკანონმდებლო ორგანოში იყოს ხალხის წარმომადგენელი“... – ნუცას სკოლაა?.. ამაზე მეტი დემაგოგია რა გინდათ?

არაჯანსაღი გამოსდომებისგან.
 ჯერ „არსებულ სიჭარბეზე“ ვიტყვი ორიოდ სიტყვას: საქართველოს პარლამენტში რეჟისორ-მსახიობი და სპორტსმენი, სულ მცირე, ოცდაერთია (14%). რაც შეეხება პარტია „ქართული ოცნების“ – ის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ორმოცდაშვიდი დეპუტატით არის წარმოდგენილი. აქედან ჩვიდმეტი სპორტისა და კულტურის სფეროებთან (წარსულში თუ აწმყოში) დიდი შემხებლობის მქონე (პაატა ბარათაშვილი, ვალერი გელაშვილი, ზურაბ ზვიადაური, გიორგი კახიანი, ელდარ კურტიანიძე, დათო ლორთქიფანიძე, ზაზა პაპუაშვილი, ერეკლე ტრიპოლსკი, გოგი ქავთარაძე, ნუკრი ქანთარია, თემურ ჩხაიძე, თემურ ჭკუასელი, შოთა ხაბარელი, ლერი ხაბელოვი, თემურ ხუბულური, გია ჯაფარიძე, სოსო ჯაჭვლიანი), რაც 36%-ს შეადგენს. მეტი ობიექტურობისთვის, 3-4 კაცი შეიძლება ამოვადოთ ამ სი-

მქონე კაცისადმი ყოველთვის პატივისცემით ვიყავი გამსჭვალული და ვაფასებდი მის პირდაპირობასაც.

ბატონი სოსო მისთვის ავდასახსენებელი „იბიარდის“ მერე იმ „პალასაზე“, როცა უფრო ბევრი რომ ლაპარაკობენ, მით უფრო მეტ შეცდომას უშვებენ სოლომე. შეცდომები, სამწუხაროდ, ისეთი ხასიათისაა, რომ საზოგადოება მათ, რბილად რომ ვთქვათ, „მტკიცე“ უნდა აღიქვამს. საგულსხმოა, რომ ბატონი სოსო „მიზნის მისაღწევად“, გარკვეულ შემთხვევებში, ჩემდა გასაკვირვად, „წითელი ხაზების“ გადაკვეთასაც არ ერიდება სოლომე. მაგალითად, მის ადგილზე, მე არ ვიკადრებდი (მით უმეტეს, თანაგუნდელთან კამათის დროს) აზრის დამახინჯებას. როდესაც, კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით, კონტექსტიდან შეგნებულად ამოჭრი პრინციპული და განმსაზღვრელი მნიშვნელობის სიტყვებს – „არსებული სიჭარბით“ (!!!), და

პეტრეო სამსახურში გადატვირთულობის გამო, 300-ზე მეტი პასუხგაუცემელი ზარი დაფიქსირდა.
 მინისტრმა განაცხადა, რომ სასწრაფო დახმარების სამსახურში დიდი რაოდენობის მიმართვიანობა გატარებული ღონისძიებების სისწორეზე მეტყველებს. მისივე თქმით, ერთ დღის მონაცემებით, თუ ბოლო 6 თვის მანძილზე თბილისში გამოიქანებების რაოდენობა დღეში 2 000-ის ფარგლებში იყო, გუშინ 3800-მდე გამოიქანებდა დაფიქსირდა, აქედან 1200-მდე მხოლოდ მაღალი ტემპერატურის გამო იყო.
 „ადამიანები ცდილობდნენ დაეგრეკათ სასწრაფო დახმარების სამსახურში და გადატვირთული იყო მთლიანი სადისპეტჩერო სამსახური, რომელიც 112-მა გააძლიერა, მიუხედავად ამისა, ეს მართლაც საყურადღებო და საგანგაშო სიმბტომი დაფიქსირდა. ამან კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ჩვენს მიერ გადადგმული ნაბიჯები სწორია“, – განაცხადა მინისტრმა.

XO-008-360, მედიანოუსი

ამირ-იბერი

შეპირდასწავლა ლარის გაუფასურებით დაზარალებულებს პირ აიძულებს

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გია ვოლსკი ეროვნული ვალუტის გაუფასურების პარტნიორ ქვეყნებში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას უკავშირებს და ამ სიტუაციიდან გამოსავალს ინვესტიციების მოზიდვასა და ევროკავშირთან სავაჭრო ბრუნვის გაზრდაში ხედავს. ვოლსკის თქმით, ხელი-სუფულება მაქსიმალურად ეფექტიანი იქნება ამ ტენდენციების რეალიზაციაში.

ბრიკით შეშინებული მოსახლეობა და გაღატაკებული „112“

შრუმის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის დავით სერგაძის ინფორმაციით, გუშინ 112-ის სადისპეტჩერო სამსახურში გადატვირთულობის გამო, 300-ზე მეტი პასუხგაუცემელი ზარი დაფიქსირდა.

რომში იქნა ჩადგა ახალი, 2016 წელი თავის კალაპოტში და მასწავლებელი ათასგვარი უცნაური განცხადებების გახმოვანება. პრინციპში სხვა მოლოდინი ნამდვილად არ გვქონდა, მაგრამ მინც არ მეგონა, რომ ქართველ „პოლიტიკოსებს“ და მათთან დაახლოებულ პირებს, ევროპის ერთ-ერთი გაყვანილი პოლიტიკური ძალა — ევროპის სახალხო პარტიაც თუ ახვევებოდა.

გასული წლის განმავლობაში ამ პარტიის მისამართით ბევრი ბრალდება და განცხადება ისმოდა. დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა არც იცის, თუ რას წარმოადგენს ეს პოლიტიკური გაერთიანება. გთავაზობთ მის მოკლე „ბიოგრაფიას“.

ევროპის სახალხო პარტია (ესპ) — პოლიტიკური ცენტრის გაერთიანება. იგი აერთიანებს მსგავსი იდეოლოგიების ნაციონალურ პარტიებს ევროსაბჭოს წევრ და ასტორიებული წევრობის მქონე ქვეყნებიდან. ასევე ამყარებს ახლო კონტაქტს სავარაუდო კანდიდატ ქვეყნებთან. იგი წარმოადგენს ევროპის პოლიტიკურ პარტიათა უდიდეს გაერთიანებას, რომელიც შეიქმნა 1976 წელს ქრისტიან-დემოკრატიული პარტიების მიერ. დღესდღეობით მოიცავს ევროპის მემარჯვენე-ცენტრისტული იდეოლოგიის, როგორც ქრისტიან-დემოკრატიულ, ასევე კონსერვატიულ, ევროპულ ფედერალისტურ და ლიბერალ კონსერვატიულ პარტიებს.

ესპ ყველაზე მსხვილი ევროპული გაერთიანებაა და ფლობს უმრავლესობას ევროპარლამენტში. მასში ამჟამად გაერთიანებულია ევროპის 39 ქვეყნის 75 პარტია. მის ხელმძღვანელობაში შედიან ევროკავშირის 16 წევრი და 7 არა-წევრი ქვეყნის პარტიები, მათ შორის საქართველოდან ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ქრისტიან-დემოკრატიული პარტია.

პრინციპში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მეგობრისგან არც არაფერი უნდა გავიკვირდეს, მაგრამ საქართველოში არსებული პრობლემების ამ ქრილში დანახვა და მისი გახშირება ისეთი მაღალი ტრიბუნიდან, როგორც ევროპარლამენტი, დამერწმუნეთ, თვით ნაციონალების იდიოტურად მდიდარ ფანტაზიასაც სცილდება.

მათ თუ დავუჯერებთ, საქართველოში მხოლოდ სამი მთავარი საკითხია გადასაჭრელი და მასწავლებელი „მძის მდინარეები“ დაიწყებს ჩუხჩუხს, ხოლო ბედნიერი ნაცმოძრაობის წევრები „კისელების ნაპირზე“ წამოგორდებიან.

ევროპარლამენტის ჯგუფმა ევროპის ლიბერალ-დემოკრატების ალიანსზე (ALDE), რომელიც ზემოთ ნახსენები გაერთიანების წევრია, რეზოლუციის ტექსტი გამოაქვეყნა, რომელშიც ნათქვამია, რომ „ალიანსი საზს უსვამს პოლიტიკური კულტურის გაუმჯობესების საქმეებს და მიიჩნევს, რომ წინა ხელისუფლებასში მომუშავე მალადი თანამდებობის პირების, ასევე აშუამდგომელი მთავრობის ოპოზიციის წარმომადგენელთა დაპატიმრება შესაძლოა შეჩვევითი სამართლის ნიშნებს ატარებდეს. ალიანსი ეჭვს გამოთქვამს სასამართლო სისტემის პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ პოტენციურად გამოყენების შესაძლებლობის შესახებ, რამაც, შესაძლოა, საქართველოს

ევროპულ კურსს და დემოკრატიული რეფორმების თვალსაზრისით საქართველოს ხელისუფლების სწრაფვას ხელი შეუშალოს“.

ასევე „ალიანსი წუხილს გამოთქვამს საქართველოს ყველაზე პოპულარული დამოუკიდებელი არხის, „რუსთავი-2-ის“ მფლობელისა და სარედაქციო პოლიტიკის შეცვლის მცდელობის გამო და აქედან გამომდინარე, მედია მფლობელთა გამჭვირვალობის შესახებ კანონის სრულად იმპლემენტაციის საქმეებზე მიუთითებს. ალიანსი მიიჩნევს, რომ მედიის სარედაქციო პოლიტიკა სასამართლოს გადწყვეტილებამ არ უნდა შეაფერხოს“.

ნახევარი მილიონი გაუთხოვარი ქართველი ქალი და ევროპარლამენტის დასკვნა

და ბოლოს „ალიანსი გმობს იოსებ სტალინის ძეგლის აღმართვის მცდელობას და ხელისუფლებას მოუწოდებს, პატივი სცენ სტალინიზმის მილიონობით მსხვერპლს მსგავსი ფაქტებისგან დისტანცირებით“.

მოკლედ რომ ვთქვა, ამ ტექსტის ნაკითხვის შემდეგ გავაკეთე დასკვნა, რომ თუ საქართველოში არ დაიჭერენ წინა ხელისუფლების დამნაშავე მაღალჩინოსნებს, რუსთავი-2-ს თავს დაანებებს მისი ნამდვილი მფლობელი და სტალი-



ნის ძეგლებს აღარ დადგამენ, ყველაფერი კარგად იქნება.

არა რა, უკვე აღარ მიკვირს ჩვენს პარლამენტში გუგულას, ყვინიშვილის, ტყემალაძის, ჩიორას, ხერხეულიძის, რესპუბლიკელების, ზოგადად „გირჩეების“ და.შ. ყოფნა და თამამად ვაცხადებ: — ჩვენ ნამდვილად ევროპული პარლამენტი გვაქვს („გვაქვს“ და არა „გვყავს“)! გუგული მალრაძის და ზურაბ ტყემალაძის მარგალიტებზე აღარაფერს ვიტყვი. ქართველი პარლამენტარების

„ევროპული აზროვნების“ მაგალითად მოვიყვან „ყველაზე ინტელექტუალური პარლამენტარის“ ლევან ბერძენიშვილის ანალიზის საოცარ შედეგს. თუმცა „საქართველოს ერთ-ერთი პრობლემა არის ის, რომ ნახევარი მილიონი გაუთხოვარი ქალია. ეს ძალიან ბევრია. აქედან გამოსავალს მე ვერ გიკარნახებთ. გასაგებია, რომ მრავალცოლიანობას ვერ შემოვიღებთ, თუმცა, ქართველი კაცები ამ საქმის მოსაგვარებლად მზად იყვნენ — გარკვეული ხერხით ამას ცდილობენ“. მისი თქმით, ასე საქართველო ევროპას ყველაზე უკუღმართი გზით ემსგავსება.

„გოგოები გვიან აპირებენ გათხოვებას.“

ვერაფერს, რადგანაც უფრო ადვილია ილაპარაკო ქალებზე, ვიდრე იმ წითელ-ტრიკოიან ანტიგაზრომელებს თამამად უთხრა: — **იმიტომ იცავთ სოკარს წითელ ტრიკოებში გამოწვევები, რომ მაცულს გისდიან და თქვენი ტიპები კაი თანამდებობებზე მყავთ დასაქმებულები?**

დამერწმუნეთ, რომ გაცილებით უფრო ადვილია.

ბუნებრივია, რომ რეგიონული ხელი-სუფლებაც ცდილობს, არ „ჩამორჩეს“ ცენტრალურ ხელისუფლებას, მაგრამ ევროპელობას ჯერ ბოლომდე ვერ „ქაჩავენ“.

მაგალითისთვის გეტყვით, რომ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებმა მუნიციპალიტეტის გამგებელს დავით ონიაშვილს სიმღერა მიუძღვნეს.

მძიმე შემთხვევაა არა?

ჩემი აზრით კი არც ის გორელი „მომღერლები“ და არც ის გამგებელი არაფერ შუაში არ არიან. ისაა სახალხოდ გასაროზგი, ვინც იმ გამგებლის კანდიდატურა შესთავაზა „იქ, ზევით“ და თქვა — ჩვენიანია, გამოდგებაო!!!

დანარჩენი უკვე ჩვეულებრივი ჯაჭვური რეაქციაა!

ახლა კი სერიოზულად გავბრაზდი. რა სიმღერები და დითირამები, რის „გაზპრომთან“ ხელ შეკრულების გამჭვირვალობა, როცა ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელის ხელფასის ოდენობა გასაიდუმლოებული.

ევროპიკაში რა წინსვლაზე საუბრობენ, როცა საქართველოს მოსახლეობის 80% ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ვალებში იხრჩობა! რა ეკონომიკურ რეფორმებზეა საუბარი, როდესაც მოვალეები ამ ყოველად საზიზარ მევახშეებს უზარმაზარ პროცენტებს უსდიან! რა ბიზნესის ალორძინებაზე და განვითარებაზეა საუბარი, როცა კრედიტს ვერ აიღებ?

ამ დროს, პრემიერის „ბიზნესმენებთან“ შეხვედრის შემდეგ გამოდის ბანკების ასოციაციის ხელმძღვანელი და მოსახლეობის წინააღმდეგ სანქციების გამყარებას მოითხოვს!

თუ პრემიერის წინადადება ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციის შესახებ ფიზიკურ პირებზეც გავრცელდება და არა მარტო გადასახადების დამმალბა და სხვა მაქინაციებით გამდიდრებულ „ბუზლესმენებზე“, მაშინ ბოლომდე დავეთანხმები მის ყველა წინადადებას რეფორმების ახალი ტალღის შესახებ, მაგრამ სამწუხაროდ, როცა მესმის ფრაზები: რეფორმები ინტენსიურად უნდა გაგრძელდეს, მეტი გამჭვირვალობა და დემოკრატია, მეტი ინტეგრაცია საერთაშორისო სტრუქტურებთან და.შ. ისეთი შეგრძნება მიჩნდება, დედაჩემი რომ მეტყუოდა: — მოიცადე, მოვა მამაშენი და ის დაგელაპარაკებაო!

ამ წერილს კი პოზიტიური მოწოდებით დავამთავრებ:

დამწვდით, ხალხო! „მაიკო“ ასათიანი ცოცხალია, სომხებს ევროვიზიაზე „ყვავილების ქვეყანა“ არ გააქვთ, კეზერაშვილს ოპერა მყვარებია და კესარიან დასაქმდა.

ახლა მთავარია, რა ვუშველოთ ნახევარი მილიონ გაუთხოვარ ქალს! (ოღონდ ჩემი იმედი არ გქონდეთ).

გიან ბაბრიძე

ინფორმაცია

„ნარინჯისფერი რთველი“ ნარეკტებით დასრულდა

საბარტომილუს სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ და აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარემ არჩილ საბაძემ „ნარინჯისფერი რთველი“ შედეგებით შეაჯამეს. მედიის წარმომადგენლებთან შესვედრაზე ოთარ დანელიამ წლევანდელი ციტრუსის სეზონი დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ 2015 წლის „ნარინჯისფერი რთველი“ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია.



„წელს ციტრუსის სეზონი ორგანიზებულად, შეფერვების გარეშე წარიმართა. შედეგებით და ციფრებით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენმა მიდგომებმა გამართლა და სწორი მიმართულებით მივდივართ. უნდა აღინიშნოს, რომ გა-

სულ წელთან შედარებით, წელს დაახლოებით 4 000 ტონით მეტი მანდარინის ექსპორტი განხორციელდა. მნიშვნელოვანი დადებითი შედეგებია გადაამამუშავებელი საწარმოების სტანდარტიზაციის მიმართულებით. საქართველოში, ფაქტობრივად, ყველა სტანდარტის დაკმაყოფილება უკვე შესაძლებელია“, — განაცხადა ოთარ დანელიამ.

დღეის მონაცემებით, ქვეყნიდან ექსპორტირებულია 26 061 ტონაზე მეტი სტანდარტული მანდარინი, გადაამამუშავებულია 9 000 ტონამდე ციტრუსი. სამრეწველო მანდარინის გადაამამუშავების შედეგად მიღებული შემოსავალი 1 827 744 ლარს შეადგენს, აქედან სახელმწიფო სუბსიდიის თანხა 894 325 ლარია.

გადაპარჩინოთ კოლხური ბზა!

ბარამოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში „კოლხური ბზის“ გადარჩენის სამოქმედო გეგმის

შემუშავებაზე იმსჯელებს. საქართველოს ენდემური და წითელ ნუსხაში შეტანილი მცენარის „კოლხური ბზის“ სმობა უკანასკნელი წლების განმავლობაში აქტიური გახდა, რამაც დასავლეთ საქართველოს ბზის კორუმების მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურების პირას მიიყვანა.



სამუშაო შესვედრაზე მონაწილეებმა მანებელ დაავადებასთან ბრძოლის ეფექტური ქმედებები, ასევე მოსახლეობის ინფორმირებისა და ჩართულობისათვის საქართველოში აქტივობები განიხილეს. ბრძოლის ღონისძიებები სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციათა განაწილების საფუძველზე პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით უნდა განხორციელდეს.

X0-308-360, მედიანუსი

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება კომპანია „ჯორჯიან მანგანუმი“ და ხელისუფლებას ტყვეობაში აქოლოგიურ კატასტროფასთან ერთად მოსალოდნელი სოციალური კატასტროფის შესახებ აფრთხილებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:



ჭიათურაში არსებულ აქოლოგიურ კატასტროფას, შესაძლოა, სოციალური დაეხმაროს

„ჭიათურაში ბოლო დღეების განმავლობაში განვითარებული პროცესები უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს როგორც საზოგადოების და ქალაქისთვის, ასევე მთლიანად ქვეყნისთვის. საქართველოს პროფკავშირები კონკრეტული, შემამსუბუქებელი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდებს კომპანიასა და საქართველოს ხელისუფლებას, რათა ქალაქში არსებულ ეკოლოგიურ კატასტროფას არ დაემატოს სოციალური კატასტროფა და 3,700 ჭიათურელი და მათი ოჯახის წევრები, არ დაჩნდნენ არამხოლოდ ღირსეული საცხოვრებელი პირობების, არამედ ელემენტარული საარსებო საშუალებების გარეშე.

კომპანია „ჯორჯიან მანგანუმი“ მიერ, თანამშრომლებისთვის, წარმოების პროცესის აღდგენამდე შეთავაზებულ პირობებს, საქართველოს შრომის ბაზარზე წლების განმავლობაში დამკვიდრებულ პრაქტიკასთან შედარებით, ნამდვილად გააჩნია სოციალური ღირებულება. იგულისხმება დროებით, იძულებითი უმუშევრობის პერიოდში, ანუ, ოთხი თვის განმავლობაში ხელფასის 60%-ის შენარჩუნება, ჯანმრთელობის ოჯახური სადაზღვევო პაკეტით მომსახურების გაგრძელება და სს „საქართველოს ბანკიდან“ და სს „თიბო-სი“ ბანკიდან გამოტანილი სესხების საპროცენტო განაკვეთების გადავადების უზრუნველყოფა. თუმცა, ამ კარაა, რომ აღნიშნული ქმედებები არ არის საკმარისი არც, ზოგადად, ქვეყანაში შექმნილი სოციალური მდგომარეობიდან და, განსაკუთრებით, არც ჭიათურაში არსებული რეალობიდან გამომდინარე. ამასთან, შრომითი კოლექტივისა და საზოგადოებისთვის უცნობია, თუ სხვა რა სახის კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებას გეგმავს კომპანია ე.წ. სპეციალური რეჟიმის მოქმედების პირობებში, მაგალითად, ამცირებს თუ არა დამსაქმებელი ადმინისტრაციულ ხარჯებს, როგორი მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა აქვს შემუშავებული კრიზისის გახანგრძლივების შემთხვევისთვის, აპირებს თუ არა შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად აღნიშნული ოთხი თვის განმავლობაში შესაბამისი ღონისძიებების გატარებას და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას, და ა.შ.

მნიშვნელოვანი საკითხია, ასევე, თუ რატომ და რომელ კანონზე დაყრდნობით შეუზღუდა კომპანიამ დასაქმებულებს 2016 წელს შევსებულების უფლების გამოყენება, რა უფლებით წარმოადგინა დასაქმებულებს ოჯახის წევრებთან, პროფკავშირებთან ან იურისტებთან კონსულტაციის გავლის უფლება მის მიერ შემუშავებულ შეთანხმების ტექსტზე ხელმოწერაზე დაფუძნებისთვის დროის ფაქტობრივად არმიცემით. აღნიშნული, ბუნებრივია, სერიოზულ კითხვებს ბადებს დამსაქმებლის განზრახვის კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, გააგრძელებს თუ არა კომპანია ჭიათურაში არსებული მანგანუმის მომპოვებელი სხვა კერძო კომპანიებისგან მანგანუმის მადნის მიღებას, რატომ შემოაქვს „ჯორჯიან მანგანუმს“ მანგანუმი აფრიკის ქვეყნებიდან (მაროკო, განა და ა.შ.) მისსავე კუთვნილ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში გადასამუშავებლად. შექმნილი ვითარება, კომპანიის მიერ, შრომითი და სოციალური სტანდარტების მიზანმიმართული დემპინგის გამოყენების შესახებ საფუძვლიან ეჭვებს ბადებს. აღნიშნული დასკვნის გამოტანის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ ჭიათურაში მანგანუმის მომპოვებელ სხვა მცირე საწარმოებსა და აფრიკის ქვეყნებში შრომითი და სოციალური სტანდარტები, მათ შორის

შრომის უსაფრთხოების დაცვის კუთხით მდგომარეობა, „ჯორჯიან მანგანუმის“ მიერ ოპერირებულ მალარობთან შედარებით, კიდევ უფრო უარესია, რაც შესაბამისად, პროდუქციის თვითღირებულებას ამცირებს და უსამართლო და, ამავდროულად, უკანონო კონკურენციის პირობებს ქმნის.

აღსანიშნავია, რომ კომპანიის ხელმძღვანელობას არ გაუმართავს არანაირი ინსანური მოლაპარაკება შრომით კოლექტივთან, დამსაქმებლისგან დამოუკიდებელ და მშრომელურ აზრის გამოხატველ მალარობულ პროფკავშირებთან. კომპანიამ აბოლუტურად უფლებდევს ცივილიზებულ სამყაროში აქსიომად დამკვიდრებული სოციალური დიალოგის კულტურა და შრომითი კოლექტივისგან დაფარულად და მოულოდნელად მიიღო ასეთი მიმე გადანყვეტილებები მალარობის და მათი ოჯახების მომავლის შესახებ.

აუცილებელია, რომ ხელისუფლებამ კომპანიას მოსთხოვოს საქართველოს ეროვნული შრომის კანონმდებლობის სრული პატივისცემა. შესაბამისად, ე.წ. „სპეციალური რეჟიმი“, რომელსაც საერთოდ არ ცნობს საქართველოს შრომის კანონმდებლობა, უნდა შეიცვალოს შრომის კოდექსით განსაზღვრული „იძულებითი მოცდენით“, რაც გულისხმობს დასაქმებულის შრომის 100%-ით ანაზღაურებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია თავად დაფაროს მალარო-

ელთა და მათი ოჯახების შემოსავლის 40%-იანი დანაკლისი იძულებითი უმუშევრობის 4-თვიან პერიოდში. ასეთი ნაბიჯი, ქვეყანაში უმუშევრობის კომპენსაციის/შემწეობის 10-წლიანი არარსებობის პირობებში, იქნებოდა დემონსტრირება მაღალი სოციალური პასუხისმგებლობისა ხელისუფლების მხრიდან და სოლიდარობისა – საზოგადოების მხრიდან (რისი ძლიერი სურვილი საზოგადოებას ნამდვილად აქვს). ამავდროულად, ეს გახდებოდა განაცხადი ხელისუფლების მიერ ევროპული სოციალური მოდელისადმი ერთგულების და სამომავლოდ სოციალური დაზღვევის სისტემის უწყობისათვის, უმუშევრობის დაზღვევის კომპონენტის დასამკვიდრებლად. ამგვარი, ერთჯერადი გადანყვეტილების დასაფინანსებლად, სახელმწიფოს აქვს საკმარისი თანხები 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, კერძოდ, მთავრობის 50-მილიონლარიანი სარეზერვო ფონდის სახით. ამ მიზნისთვის საკმარისი იქნებოდა 3 მილიონი ლარის გამოყოფა.

ჭიათურაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობა, მისი მასშტაბებიდან და მოსალოდნელი შედეგებიდან გამომდინარე, მიუხედავად კომპანიის მიერ გადანყვეტილებისთვის ეკონომიკური სარჩულის დადებისა, მრავალანალოგიას წარმოშობს სტიქიური უბედურებით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური შედეგების კუთხით. საწარმოში დასაქმებული 3700 მალარობელის მიერ შემოსავლის 40%-ის დაკარგვა, პირდაპირპროპორციულ უკიდურესად ნეგატიურ ასახვას ჰპოვებს ჭიათურის რაიონის 15 000-მდე მოსახლეზე, მათ შორის, ბავშვებზე, მოსწავლე ახალგაზრდობასა და სტუდენტებზე. ხოლო არაპირდაპირ, სერიოზულ დარტყმას მიაყენებს ჭიათურის ჯანდაცვის, კულტურულ-საგანმანათლებლო, მომსახურებისა და ვაჭრობის ისედაც სუსტად განვითარებულ სფეროებს.

აუცილებელია, რომ პროცესმა შეიძინოს საკმარისი გამჭვირვალობა. ამისთვის, საზოგადოებას უნდა მიეცეს ჭიათურაში მანგანუმის მოპოვების შესახებ „ჯორჯიან მანგანუმს“ და სახელმწიფოს შორის არსებული შეთანხმების გაცნობის შესაძლებლობა. საკითხი სასწრაფო წესით იქნას განხილული სოციალური პარტნიორობის სამხრეთი კომისიის მიერ. საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება მოითხოვს ოფიციალური დოკუმენტის გაფორმებას, რომლის ძალითაც სახელმწიფო გახდება გარანტი 2016 წლის 20 მაისს ჭიათურის მალარობეში მუშაობის განახლებისა, ხოლო თუ კომპანია 15 მაისს არ განახლებს მოპოვების/წარმოების პროცესს, სახელმწიფო აიღებს პასუხისმგებლობას მის ამოქმედებასა და სამუშაო ადგილების შენარჩუნებაზე.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

© გი მიყვილია და...

განასოს(ო)ებული იზიარდი და სხვები, ანუ „ქართული ოცნების“ ამომრჩეველის ხმაგაღალი ფიქრები

(მესამე გვერდიდან) მარტივად ვიტყვი – კაცი როცა საქმეში ხარ, თანაც ამხელა საქმეში, იმით კი არ იზომება შედეგი, რას არ აფუჭებ, არამედ იმით, რა გააკეთე (ისე, არცთუ ბოროტი ხმები ამბობენ, ალბათ, იუმორწარევად: პაატა ბარათაშვილი უფრო კარგი დეპუტატია, ვიდრე ზოგიერთი „ოცნებისტი“) – ხმა მანაც არ იღებს და „ოცნებას“ პრობლემებს არ უქმნის.)

წერილის დასკვნით ნაწილში უფრო დიდ პრობლემებზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას. ძირეული ცვლილებების აუცილებლობასთან დაკავშირებულ დღესავით ნათელ კამათში, დამაფიქრებელი იყო, რბილად რომ ვთქვათ, გია ვოლსკის, მანანა კობახიძის, ზვიად კვაჭანტირაძისა და ზვიად ძიძიგურის, ანუ, „მძიმე წონის“ პერსონათა შეფასებები.

ჯერ ზვიად ძიძიგურზე ვიტყვი: პირველი – სხვა პარტიის, თუნდაც პარტიის პარტიის „საშინაო საქმეებში“ ჩარევა სადაური წესია, პოლიტიკური საქმიანობის ოცდახუთწლიანი სტაჟის მქონე, ბატონო ზვიად? მე შემიძლია გავაკეთო ჩემი შეფასებები, რადგან რიგითი ამომრჩეველი ვარ, მაგრამ თქვენ?.. მეორე – კარგად მოგესვენებათ, რეიგანი როგორც მსახიობი (პაატა ბარათაშვილის ნახევარი მსახიობიც არ იყო) არ აურჩევია ამერიკელ ხალხს თავისი ქვეყნის პრეზიდენტად. ბოლო ათწლეულების ამ ყველაზე გამორჩეულმა პოლიტიკურმა ლიდერმა მსახიობობიდან პრეზიდენტობის კანდიდატობამდე პოლიტიკოსის უაღრესად რთული და მრავალსაფეხურიანი გზა განვლო.



გამომდინარე იქიდან, რომ პოლიტიკაში შემთხვევით არაფერი ხდება, მაქვს უფლება ვიფიქრო, ზვიად ძიძიგურის უადგილო ჩართვა, პოლიტიკის ენაზე რომ ვთქვათ (თუნდაც, რბილად), რაღაც მიზანს უნდა ემსახურებოდეს. წესების დარღვევას კაცს პრობლემები აიძულებს ხოლმე. რა შეიძლება იყოს ბატონი ზვიადის პრობლემა? ალბათ ის, რომ ჯერ არ იცის, შენარჩუნდება თუ არა კოალიცია და თუ შენარჩუნდება, როგორ იქნება მისი და მისი დაბალპროცენტური პარტიის ბედი. მე ვფიქრობ, რომ ზვიად ძიძიგური უნდა იყოს მომავალ პარლამენტშიც, მაგრამ რა სტატუსით და რა უფლებამოვალეობებით? სავარაუდოდ, ეს კითხვა აწუხებს ბატონ ზვიადსაც (რუსთაველ ამომრჩეველებთან ერთად) და, ნებისთი თუ უნებლიეთ, შეგნებულად თუ შინაგანი ხმის კარნახით, ეძებს (ან უკვე მოძებნილი ჰყავს) მსგავსი პრობლემების წინაშე მყოფ კოლეგა-დეპუტატებს.

და აქ უკვე „ხვეწილობა“ გადავიდვართ მმართველი პარტიის საპარლამენტო დეპუტაციის ზემოხსენებულ სამ ლიდერზე... მათი საფიქრალიც, ეჭვი მაქვს, მთლიანად ზვიად ძიძიგურის საფიქრალის იდენტური უნდა იყოს. ეს სამეულაც, ვფიქრობ, იმსახურებს მომავალ პარლამენტში ყოფნას, მაგრამ რა სტატუსით და რა უფლებამოვალეობებით? მარტივი ლოგიკაა – თუ ცვლილებები იქნება მხოლოდ კონსტიტუციური ხასიათის, მათ დღევანდელ მდგომარეობას არავფერი დაემატება, მაგრამ თუ გატარდება ძირეული რეორგანიზაცია, ვინ იცის... ვინ იცის?..

ვოლსკი-კობახიძე-კვაჭანტირაძის კომენტარებს შორის ისეთი მსგავსებაა, ერთმანეთისგან გადაწერილი გეგმებათ. ძირითადი ლაიტმოტივი კი ამ ფრაზაში იკითხება – „ყველა პროფესიის ადამიანს აქვს უფლება, საკანონმდებლო ორგანოში იყოს ხალხის წარმომადგენელი“ – ნუცას სკოლაა?.. ამაზე მეტი დემაგოგია რა გინდათ?

სამუშაოს ტაქტიკა ისეთია, თითქოს პარტიის აღმასრულებელი მდივნის განცხადებით გარკვეული პროფესიები სამომავლოდ საფრთხის ქვეშ შეიძლება მოექცეს და ისინი კი ცდილობენ, მათ დამცველად მოგვეყვინოს. თქვე კი დედამამიშვილებო, როცა კაცი ამბობს, სადაც დეფიციტია, უნდა შეივსოს და სადაც „სიჭარბეა“, უნდა შეიკვეცოს, რა არის აქ გაუგებარი და მიუღებელი და კიდევ – როცა იცით (მთელმა საქართველომ იცის), ჟურნალისტების საქმიანობა, „თქვენ დასაცავი“ პროფესიების ზოგიერთი წარმომადგენლის („გვარებს არ დავასახელებ“ გამო), „ქართულ ოცნებას“ ბევრჯერ რომ დასცინეს და ხმებს და მხარდამჭერებს რომ კარგავთ, ტაქტიკური მანევრების დროა? ან იქნებ დღევანდელი პარლამენტის საქმიანობით ხართ კმაყოფილი?


ზემოთ რამდენჯერმე ვთქვი და ერთხელ კიდევ გავიძეორობ – მე ყველა შემთხვევაში „ქართულ ოცნებას“ ვაძლევ ხმას, მაგრამ აღარ მინდა გავაკეთო არჩევანი ცუდსა და უარესს შორის. მინდა, მხარი დავუჭიროო აღმშენებლობას და არა ნაცქალაქობისა და ნაცტერორის არდაბრუნებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც ჩემი საარჩევნო ხმის (ამაზე მაღალი კონსტიტუციური ფასეულობა არ არსებობს) პატივისცემელი მოქალაქე, მოვიხსოვ, მმართველ ძალაში გატარდეს ძირეული საკადრო რეორგანიზაცია. კარგი პარლამენტი ნიშნავს კარგ მთავრობას, მოკლე ხანში ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნებშიც მოგვიკაკუნებს კარზე და ამისთვისაც კარგი საფუძველი იქნება ჩაყრილი... ასეთია აღმშენებლობის სასტარტო მდგომარეობა.

არ იქნება ასე და... „იბიარდეთ“ და იყავით! მე კი სინდისი მექნება პატიოსანი და მშვიდი – მამალმა, ხომ გახსოვთ, რა თქვა: მე მიყვილია და...

მირაზ მაისურაძე, „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი

ჰოტი იერიუზა

ახალი ლექსი ძველი მოტივითა და ახალგაზრდობის სურათით



ეშმაკმა რად აგიბნია გზა-კვალი, ქართველობა ასე რატომ გემრახვის, შე, ახგარო და მზაკგარო, თათარს რატომ მეძახი?!

ქართულ სიტყვას ვეაღერსე და ვეფერე, მამა-პაპის სინდისით და გლეხურად, მე რა მექნა, ჩვენს მეფეებს ჩაღმიანი ქუდები თუ ესურათ?!

ფარსადანი დობე-ყორეს ეფარება, ისეგ ისე ემაღება სინათლეს, მე რა მექნა, როცა ჩვენმა მეფეებმა ქეთევანი ხონთქარს ლანგრით მიართვეს?!

თავი დაანებე ზღაბარს, როცა მტერი მოგვდგომა აქუცას, მე რა მექნა ჩემი დიდი პაპის პაპა, დანდალოში ასკერებმა აკუწეს?!

ამ სოფელში ერთი დღეც ვერ გაგისარე, მედაგება ჩემი მიწით მოგაჭრე, მე რა მექნა, როცა მტერმა ჩემი მხარე საქართველოს დუმასავით მოაჭრა?!

მე მოგვგებები. სულ პატარა ანდერძს დაგტევე, ჩვენს მიწა-წყალს ნუ გაყიდით ხელახლა, აჭარაში საქართველოს მოდალატეს, წამალივით რომ ეძებოთ, ვერ ნახავთ!

ვითმე და სხვისი როლი არ მოვირგე, საჯილდაო და სადაო რათ არი, შაშქორი და ბასიანი რომ მოვიგე, შე, ახგარო, იმიტომ ვარ თათარი?!

უბიწოდ რომ შევინახე ჩემი გენი, უდაბნოში, ცარიელი მათარით, თამარ მეფის საფლავი რომ მიფაგენი, შე, ახგარო, იმიტომ ვარ თათარი?!

ყველა ვაი უჭკუობით დაგვემართა, ქართველობა დასაწუნი რათ არი?!, ჩემმა ბრძენმა პატრიარქმა რომ მომნათლა, შე, ახგარო, იმიტომ ვარ თათარი?!

რუსთაგელზე უკეთესი ახლა ვინ მყავს, საქართველოს უბეში ვარ გამთბარი, სამშობლო რომ შენზე უკეთესად მიყვარს, შე, ახგარო, ამიტომ ვარ თათარი?!

მოგვგებები და არ შევარცხვენ შოთას სახელს, არაფერში ქედს არ ვუხრი ვამბირებს, ამის შემდეგ, ვინაც თათარს დამიძახებს, ცოლს მოგუკლავ და მის დედას ვატირებ.

P. S. კიდევ ერთი მეტაფორა გაგისროლე, ლეღიანში გაგაგორე აფთარი, თუ გყავს ჩემი მოსაკლავი ცოლი, კი, ბატონო, დამიძახე თათარი!

შოთა ზოიკა 2016

ნიკა გვარამია და მოხანებს!

ბპარამის, ქართული მუსიკა შენზე არამის, არა ხარ ღირსი, მაგრამ შენს ფალიაშვილის კანკაბით დაბასმებრებენ!



ნიკა გვარამია მე სომ კარგად გიცნობ შენი სიყვანვილიდან და წარმოიდგინე, გარკვეულ იმედებსაც ვამყარებდი შენზე, როგორც მოაზროვნეზე, ინტელექტუალზე... თუმცა, გეტყვი პირდაპირ:

ჩემთვისა და ერის საუკეთესო ნაწილისთვის ნამეტნავად ცუდ გზას ადგახარ, შვილო ჩემო..

შენი ბოლოდროინდელი პასკვილი ფეისბუქის გვერდზე და გაზეთ „ახალ თაობაში“ (ან. 19 I), რბილად რომ ვთქვათ, უხამსობის და უვიცობისა და კლასიკური მუსიკის არცოდნის შემზარავი მაგალითი იყო. „ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ უსაშინლესი ოპერა არისო“, „საერთოდ, კარგი ქართული ოპერა არც არსებობსო...“

შენმა თვითდაჯერებულმა „დეკლარაციამ“ თავდაპირველად გამაოცა, შემდეგ – აღმაშფოთა და, ბოლოს, სიცილის ხასიათზე დამაყენა. პირველ რიგში, თავისი აბსოლუტური არაადეკვატურობით და, ამავდროს, კომიკურობით.

დიახ, კომიკურობით, რადგან, აბა რომელ ჭკუათმყოფელს მოუვა თავში ის ნაბოღვარი, რომელიც ფეისბუქის გვერდზე გამოქვეყნებული?

უნებურად გამახსენდა შენი ღირსეული წინამორბედები – ქართველი „რაპმელები“ (РАПМ – „Российская ассоциация пролетарских музыкантов“). გსმენია მათ შესახებ? – ისინი ხომ გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს ზუსტად იმავეს გაიძახოდნენ, რასაც ახლა შენ ამბობ? – „ფალიაშვილის ოპერები უნდა აიკრძალოსო!“

კომპოზიტორის პასუხი კი ასეთი იყო: „ნუ ლელავთ, ყველა თქვენგანს ჩემი მუსიკით დაგასაფლავებენო!“ მართლაც ასე მოხდა!

როგორც ცნობილია, „რაპმელების“ პარპაში მალე შეწყდა იმდროინდელი ხელისუფლების გონივრული ისტორიული გადაწყვეტილებით (1932 წ.) და ამის შემდეგ ახალი ძალით გაგრძელდა ფალიაშვილის ოპერების ტრიუმფალური გზა ქართულ, საბჭოურ და უცხოურ სცენებზეც.

კვლავ უნდა გავიმეორო შენთვისა და შენისთანების გასაგონად ჩემ მიერ აღწერულ არაერთგზის ნათქვამი: „**როგორც ვეღარასოდეს შეიძლება ახალი „ვეფხისტყაოსანი“, ვეღარ აიგება ახალი სვამირცხოველი, ისე ვეღარასოდეს დაიწერება ახალი „აბესალომ და ეთერი“!**

გაიგე, „მოაზროვნე“ გვარამიავე?!

ველარ, ველარ, ველარ! ფალიაშვილის შემოქმედება აღტაცებული სიტყვებით შეუმიკათ არა მარტო ქართველებს, არამედ მრავალ უცხოელსაც – მუსიკოსებსა და უბრალო მსმენელებსაც – ყველგან (მათ შორის, საქართველოს ფარგლებს გარეთ!), სადაც კი დადგმულა მისი უკვედავი ოპერები – „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“. ისინი იცოცხლებენ და იარსებებენ, სანამ იარსებებს ქართველი ერი, ე.ი. მარად და მარად!

გესმის, „ცრუსთავი-2“-ის გენდირექტორო?..

რატომაც, მგონია, შენ თვითონ ბოლომდე არ გჯერა შენი სიტყვებისა და ამას გალაპარაკებს სიძულვილი იმათ მიმართ, ვინც „მკვდრებით ალაღვინეს“ ჩვენი საოპერო თეატრი და დაუბრუნეს იგი ქართველ ხალხს.

დიდი, გულწრფელი მადლობა მათ! ვინ მოგახსენა, ან საიდან „გადმოიწერე“, რომ „კარგი ქართული ოპერა არ არსებობს. მეტიც, ქართული კლასიკური მუსიკა ზოგადად ძალიან, ძალიან სუსტია“?

ფალიაშვილის რომ თავი დავეანებოთ, მოვიყვან შენი გამაოგნებელი, პრეტენზიული განცხადების უარსმყოფელ მაგალითებს:

ოთარ თავთაქიშვილის ოპერა „მინდია“, რომელსაც ტრიუმფალური წარმატება ხვდა თბილისში (1961 წ.), შემდგომ დაიდგა 10 სხვადასხვა სცენაზე, მათ შორის, გერმანიაში (საარბრიუენი, მაინინგენი – გერმანი!), ჩეხოსლოვაკიაში (ოლომოუცი); ალექსი მაჭავარიანის ბალეტი „ოტელიო“, თბილისის გარდა (1957 წ.) დაიდგა ლენინგრადში, ოდესაში, კუიბიშევში, ტოკიოში (1962), ჰელსინკიში (1974), ბუქარესტში (1976), ბრწყინვალე წარმატებით წარმოადგინეს ჩვენი თეატრის გასტროლების დროს სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში. ბალეტი ეკრანიზებულია. ალექსი მაჭავარიანის მეორე ბალეტი „ვეფხისტყაოსანი“ დაიდგა ლენინგრადში (1985 წ.) და წარმატებით წარადგინეს ამ თეატრის გასტროლების დროს აშშ-ში, კანადაში, საფრანგეთში.

ოთარ თავთაქიშვილის ოპერის – „მთვარის მოტაცების“ პრემიერა გაიმართა მოსკოვის „დიდ თეატრში“ (1977 წ.), ხოლო კომპოზიტორს მიენიჭა ლენინური პრემია (უიშვიათესი შემთხვევა ყოფილ სსრკ-ში – 1982 წ.). დიდი ხანია მოიპოვა საერთაშორისო აღიარება ჩვენ დროის გენიალურმა კომპოზიტორმა გია ყანჩელმა. მისი ნაწარმოებები ისრულდება მთელ მსოფლიოში.

შენ, ალბათ, ისიც არ იცი, რომ საერთაშორისო პრემიის ლაურეატი გახდა კომპოზიტორი ფელიქს ლლონტი (1999).

„კვარტეტის დიდოსტატი“ – სულხან ცინცაძის და გია ყანჩელის კინომუსიკამ ლამის მთელი მსოფლიო დაიპყრო... მომყავს მხოლოდ ყველაზე ცნობილი. შორს ნაგვიყვანდა ყველას ჩამოთვლა. შენ კი, კაცმა არ იცის, რას წერ, რას ბოდავ!

მოკლედ, შენი ნათქვამი თუ ნაწერი, „ცრუსთავი-2“-ის სულსჩამდგმელი, სხვა არაფერია, თუ არა ამბიციურობისა და პროვოკაციულობის ნაზავი. გისურვებ, მალე განთავისუფლდე შენი ყოველდღიური უსამართლო და მავნე შეხედულებებისაგან და პატიება სთხოვო ქართველ ხალხს!

ქართველ ხალხს, რომელმაც უკვე საბარტოლიანად შეგიძულა.

გულბათ ტორაძე, მუსიკისმცოდნე, პროფესორი



„ეს მართლა ნაგავი, რავე მაინც ესმოდას ან იხილეს ამ სფეროში“

ოპერა „აბესალომ და ეთერი“ რამდენიმე დღის წინათ ნიკა გვარამიამ სოციალურ ქსელში გააკრიტიკა და მას უსაშინლესი უწოდა.

ღირდეს მაინც რადმე ეს უსაშინლესი ოპერა „აბესალომ და ეთერი“. თრეში (ნაგავი) ნამდვილი. საერთოდ, კარგი ქართული ოპერა არც არსებობს. მეტიც, ქართული კლასიკური მუსიკა ზოგადად ძალიან, ძალიან სუსტი, განსაკუთრებით, მსოფლიოში საუკეთესო (გადაუჭარბებლად) ფოლკლორული მუსიკის ფონზე, – წერდა გვარამია სოციალურ ქსელში. გვარამიას შეფასებას ეხმაურება კომპოზიტორი ოთარ თავთაქიშვილი.

– ეს მართლა ნაგავი, რავე მაინც ესმოდას ან იხილეს ამ სფეროში. ამგვარი განცხადებების მისაცემად ვინ მისცა უფლება ამ ერის სიმბანჯეს, აცხადებს თავიშვილი



ისტორიის ნამცვრავები



ჰასან იბნ საბაჰი

თანამედროვეობის დიდი ძირი – ტერორიზმი სათავეს 1605 წლიდან იღებს, რომლისა და ინგლის-საფრანგო ურთიერთობის აფეთქების მიხედვით...

ტერორისტულ მოქმედებათა გეოგრაფია განსაკუთრებით მე-20 საუკუნეში გაიზარდა. ტერორისტული აქტის მსხვერპლი 1914 წლის 28 ივნისს გახდა ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე ფრანც ფერდინანდი...

1934 წლის 9 ოქტომბერს მარსელში მოკლეს იუგოსლავიის მეფე ალექსანდრე და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბართუ.

დღეისთვის ტერორისტულ აქტებს ახორციელებენ ხმელეთზე თუ ჰაერში, საზოგადოების თავშეყრის მნიშვნელოვან ადგილებში. 1972 წელს მიუნხენის საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე 11 ებრაელი სპორტსმენის სიცოცხლე შეიწირა ტერორისტთა დაუნდობელმა მოქმედებამ...

2001 წლის 11 დეკემბერი – „ტყუპების“ აფეთქება ნიუ-იორკში...

სია ძალიან გრძელია... ტერორიზმის ფესვები საუკუნეთა სიღრმიდან მოდის – ასასინების (არაბ. ჰასინი – ჰასინის მწველი)

მასონური და მისტიკური ორდენიდან, რომელიც ჰასან იბნ საბაჰმა დააარსა.

ჰასან იბნ საბაჰი სპარსეთის პროვინცია ხორასანში დაიბადა 1033 წელს შიიტი არაბის ოჯახში. იმ დროისათვის მუსლიმანური სამყარო რელიგიურ ნიადაგზე გაიხლიჩა. ისლამი რამდენიმე მიმდინარეობად დაიყო...

ყოველმხრივ დევნილმა ისმაილიტებმა მაინც შეძლეს ეგვიპტეში დაეარსებინათ ფატიმიდთა დინასტია, რომელიც პირამიდების ქვეყანას ორი საუკუნე მართავდნენ...

კვალნი

XI საუკუნიდან მოდის

სულიერო სკოლების აღსაზრდელებს ასწავლიდნენ არა მხოლოდ ღვთისმეტყველებას, არამედ რიტორიკას, ფსიქოლოგიას, ძლიერთა ამა ქვეყნისათა სიმპათიის მოპოვებას და ხელქვეითთა მართვას.

ეგვიპტის სპეცსკოლის „სიბრძნის სახლის“ „კურსანტი“ გახდა ჭაბუკი ჰასან იბნ საბაჰი. ის იქ დაუმეგობრდა ამ სკოლის ორ მოსწავლეს. ერთ-ერთს ომარ ჰაიამი ერქვა. მეორეს – ნიზამ ალ-მულკი. სამმა მეგობარმა ერთმანეთს შეჰფიცა, რომ ის, ვინც აღზევებას მოახერხებდა, იზრუნებდა დანარჩენებზე...

საბაჰმა სხვა გზით დასვლა გადაწყვიტა, მან თავი „საიდუმლო იმამად“ – ისმაილიტური „მესიის“ მოციქულად გამოაცხადა, რომელიც ერთადერთი გაუხსნის მორწმუნეთ გზას ალაჰისკენ...

სრული მორჩილება, აი, ის ერთადერთი, რაც მოეთხოვებოდათ ჰასანის მონაფევებს.

რამდენიმე წელი ქადაგებდა იგი სპარსეთის ქალაქებში და ახალ-ახალ მომხრეებს იკრებდა. როცა მათმა რიცხვმა რამდენიმე ასეულს მიაღწია, ჰასანმა გადაწყვიტა დაეპყრო მიუდგომელი ციხესიმაგრე ალამუთი სპარსეთის დეილემის ოლქში, კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთში...

ჰასან იბნ საბაჰმა გააკეთა თავისი უმთავრესი დასკვნა: პასიურ თავდაცვას შეტევა სჯობს. გადამწყობა მონაღმედველებთან ებრაელთა ინდივიდუალური ტერორის მეთოდით...

დავალების შესასრულებლად ფიდაებს ყველაფრის ნება ეძლეოდათ: შეეძლოთ შეეცვალოთ სარწმუნოება, სამშობლო, ენა.

ასასინების ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი გახდა ვეზირი ნიზამ ალ-მულკი. 1092 წ. 18 ოქტომბერს ბაღდადის ერთ-ერთი მეჩეთის შესასვლელში მას თავს დაესხა ასასანი და დანით მოკლა. მალე ასეთი ბედი ეწია თვით სულთანს ალფ-არსლანს...

ამ დროისთვის „მთელმა ბრძენებმა“ სული ეშმაკს მიაბარა, მისმა მემკვიდრეებმა სექტა თანდათან გარდაქმნეს მკვლელთა საიდუმლო კორპორაციად...

ასე გრძელდებოდა თითქმის ორასი წელი, სანამ სპარსეთში შეჭრილმა მონღოლებმა ჰულაგუ ყაენის მეთაურობით ასასინების ციხესიმაგრე ალამუთი არ აიღეს და ყველა ფიდაი არ ამოწყვეტეს ირანში, სირიასა და ლიბანში...

მაგრამ ასასინების მეთოდები და წესები XX საუკუნეში გადმოიღეს შუა და ახლო აღმოსავლეთის რადიკალურმა ისლამურმა დაჯგუფებებმა.

დღევანდელი ფიდაები თავიანთი წინაპრების ალიკვალი არიან. ჰასან იბნ საბაჰის მიერ 10 საუკუნის წინათ ჩათესილი შხამიანი თესლი კვლავ იძლევა თავის სისხლიან ნაყოფს.

მოამზადა ალექო ასლანიშვილმა

მსლა გვაკლდა!

„მიძინებულნი“ ვილაიეთი „გურჯისტანი“...



ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთი ლიდერი ალი ნასერ ალ-ობეიდი, რომელიც ჩრდილოეთ ერაყსა და აღმოსავლეთ სირიის სამხედრო მეთაური იყო, ლიკვიდირებულია. ის დაჯგუფებაში აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის შემდეგ მეორე პირი იყო, რომელიც საკუთარ თავს ხალიფას უწოდებდა...

შეგახსენებთ, რომ აბუ ბაქრ ალ-ბაღდადმა ქართულენოვანი მიმართვა გამოაქვეყნა, სადაც ის მოუწოდებს ყველა მუსლიმანს მეზობლთა რიგებში გაწევრიანდნენ, რადგან ეს არის ბრძოლა, რომელიც ყველა მუსლიმანს ეხება...

საქართველოს მოქალაქეები იმყოფებიან სირიაში, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ იზიარებენ ისლამური სახელმწიფოს იდეოლოგიას, მაგრამ არიან ქართველი მუსლიმები, რომლებიც არ იზიარებენ ამ იდეოლოგიას...

ქართულენოვანი მიმართვის პარალელურად ცნობილი გახდა, რომ პარიზში მოკლული ტერორისტი თავს ქართველად ასალებდა, მეტიც, მან მოითხოვა თავშესაფარი და დაბადების ადგილად მიუთითა საქართველო...

ეს რა პერიოდი? როდესაც გაცივმა ბრძანება, რომ გამოვიდნენ იატაკქვეშეთიდან და დაიწყონ გააქტიურება. სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ დასტურდება „ვილაიეთი გურჯისტანის“ არსებობა...

– თქვენ ამბობთ, რომ „ვილაიეთი გურჯისტანის“ არსებობა დასტურდება, თუცა საბირისპიროს ამტიციებს ძალოვანი სტრუქტურა. ბატონო ვასტანგ, საქართველოს შემთხვევაში როგორ დასტურდება „ვილაიეთი გურჯისტანის“ არსებობა?

– გარდა ქართულენოვანი მიმართვის გავრცელებისა, გაჩნდა ქართულენოვანი საიტი და კონკრეტული პროპაგანდისტული ინსტრუმენტი. შეგახსენებთ, რომ საქართველოში დააკავეს 2 ჯგუფი, რომელთაც აღმოაჩნდათ ვილაიეთისთვის დამახასიათებელი მასალები, რაც უკვე ადასტურებს, რომ ისინი საკმაოდ ინტენსიურად მოქმედებენ.

საქართველოს შემთხვევაში მოქმედებს მიძინებული ვილაიეთი და როგორც ჩანს, საკმაოდ კარგი დაფინანსება აქვთ. ახლა მთავარია, მიძინებული ქსელები არ გამოფხიზლდნენ, რადგან ამ შემთხვევაში, მათ უკვე ექნებათ საბრძოლო ჯგუფები. მიძინებული ვილაიეთი არის დაჯგუფება, რომელიც მოქმედებს იატაკქვეშეთში და ასრულებს მეორეხარისხოვან დავალებებს...

ესაუბრა თამთა ქარჩავა



რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

სამხრეთ ოსეთის მალე შეიძლება სახელი გადაარქვან. სამხრეთ ოსეთის პრემიერ-მინისტრმა დომენტი კულუმბეგოვმა 20 იანვარს მოაწყო თათბირი ამ უღიარებელი სეპარატისტული რეგიონის მთავრობის წევრების, პოლიტიკური და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლების მონაწილეობით პრეზიდენტ ლეონიდ თიბილოვის ინიციატივის განხილვის მიზნით. როგორც უღიარებელი რესპუბლიკის მთავრობისა და პრეზიდენტის პრეს-სამსახური იუწყება, ამ ეტაპზე განიხილება რამდენიმე ვარიანტი, მათ შორის „რესპუბლიკა სამხრეთი ოსეთი - ალანია“ და „რესპუბლიკა ალანია“.

„აღნიშნული საკითხების განხილვა გაგრძელდება, მაგრამ, როგორც დომენტი კულუმბეგოვმა აღნიშნა, რესპუბლიკის დასახელებაში ცვლილებების შეტანის ღონისძიებათა რეალიზაცია აუცილებელია, დავინწყით, რაც შეიძლება ოპერატიულად“, - იტყობინება სამხრეთი ოსეთის პრემიერის პრეს-სამსახური.


თავის მხრივ, სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის საშინაო პოლიტიკის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ალან თიბილოვმა, როდესაც მოჰყავდა არგუმენტები სიტყვა „ალანია“ ჩართვის სასარგებლოდ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სახელწოდებაში 21 იანვარს ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საერთაშორისო არენაზე „ჩვენ უნდა გამოვიდეთ არა „გრუზიფიცირებული“ სახელწოდებით „ოსები“, არამედ ჩვენი ხალხის ისტორიული სახელით - „ალანები“.

წინა ისტორია

როდესაც გასული წლის ბოლოს უღიარებელი სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა გააუღერა თავისი წინადადება სამხრეთ ოსეთის სახელწოდების ცვლილების შესახებ, მან ორი მიზეზი დაასახელა: სურვილი აღნიშნოს, რომ, პირველი, სამხრეთოსეთელები არიან ალანების შთამომავლები, და მეორეც, მსგავსება ჩრდილოეთი ოსეთის -

სხინვალი სურთ, სახელი გადაარქვან სამხრეთ ოსეთს

საპარატისტოების ლიდარის ინიციატივას თბილისში განიხილავან როგორც საერთაშორისო წესების ნორმების მოკიდ დასაყრდენს



ალანიას სახელწოდებასთან, რომელიც შეედის რუსეთის ფედერაციის შეზღუდვებში.

ალანიაშია, რომ ლეონიდ თიბილოვი ისევე, როგორც სამხრეთ ოსეთის მთელი რიგი პოლიტიკოსები, არაერთგზის აცხადებდა სურვილის შესახებ - შეერთებოდა სამხრეთ ოსეთი რუსეთის ფედერაციას, ცხინვალის რეგიონში 1992 და 2006 წლებში მოწყობილი რეფერენდუმების შედეგებზე მითითებით. აღსანიშნავია, რომ ამ რეფერენდუმებში მო-

ნაწილობა არ მიუღიათ ეთნიკურ ქართველებს, რომლებიც იძულებული იყვნენ, დაეტოვებინათ თავიანთი სახლები კონფლიქტის შედეგად, აგრეთვე ახალგორის მოსახლეობას - ტერიტორიისა, რომელზეც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომამდე ვრცელდებოდა საქართველოს იურისდიქცია. 28 დეკემბერს ჟურნალისტებთან საუბრის დროს თბილისში საზღვარსაღი აღნიშნა, რომ მომდევნო პრეზიდენტის არჩევნებამდე, რომელიც 2017 წლის აპრილში უნდა გაი-

მართოს, მოეწყობა კიდევ ერთი მსგავსი რეფერენდუმი.

სხინვალის რეგიონში 20 წელზე მეტია, იქმნება ისტორიის თაქსები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე მიიჩნევს, რომ ყველაფერი, რაც ხდება როგორც სამხრეთ ოსეთში, ისე აფხაზეთში, კეთდება თბილისის გარეშე, მაშასადამე, საერთაშორისო სამართლის თანახმად, სეპარატისტული ნებისუფლებების ნებისმიერი მოქმედება უკანონოა. შესაბამისად, ამბობს ექსპერტი, თბილისისთვის და „მთელი ცივილიზებული სამყაროსათვის“ არ არსებობს არსებითი სხვაობა, თუ როგორ უწოდებენ თავიანთ თავს ცხინვალის რეგიონში - ესაა „საერთაშორისო ნორმების დარღვევა“. რაც შეეხება თავად სახელწოდება „ალანიას“, პოლიტოლოგის სიტყვებით, საკითხი, თუ ვინ არის ალანების შთამომავლები, დღემდე რჩება ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის დავის საგნად თუმცა, როგორც მაცაბერიძემ „ამერიკის სმასთან“ ინტერვიუში აღნიშნა, ისტორიული თვალსაზრისით, ეს ხალხი უფრო სწორად იხსენიება, როგორც „ოსები“, ვიდრე „ალანები“. ასე რომ, სახელწოდება „ოსები“, ამბობს ექსპერტი, სამხრეთოსეთელებს გაცილებით „ნაკლებად ხელოვნურად უნდა მოეწონოთ, ვიდრე ალანები“.

ამავე დროს მაცაბერიძე მიიჩნევს, რომ სამხრეთ ოსეთისთვის სახელის გადაარქმევა შეიძლება იყოს ნაბიჯი, რომელიც მიზნად ისახავს ამ რეგიონის კიდევ უფრო მეტად დისტანცირებას საქართველოსთან მისი წარსულის გამო, რომლის ავტონომიაც ეს ტერიტორია იყო საბჭოთა პერიოდში.

ექსპერტის აზრით, ამ ეტაპზე რუსეთი თავს იკავებს სამხრეთ ოსეთის მიერთებაზე, ვინაიდან, მისი სიტყვებით, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი მოსკოვს სჭირდება თბილისთან „ვაჭრობის საგნად“.



დედამისი ზურგზე



ამერიკელმა ასტრონავტმა ორბიტაზე ყოფნის მესამე დღე წყლის ბარათ-ლათი პიქ-პოქის თამაშით აღნიშნა

21 იანვარს შესრულდა ამერიკელი სკოტ კელის საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე ყოფნის 300 დღე - ის გაემზავრა საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე ბაიკონურის კოსმოდრომიდან შარშან 27 მარტს. თავისი თავყანისმცემელების გასახარად ასტრონავტმა გამოაქვეყნა იმის ვიდეორიანაწერი, თუ როგორ იტყვება წყლის ბურთულა პოლიკარბონატულ „რაკეტებთან“ შეხების დროს.

საქართველო და კოლუმბიაში სტრატეგია - არ გააჩნდნენ გავრცელებული რეგიონის მიწის ნაკვეთი უახლოესი ნახევარი წლის განმავლობაში

საღვთისმშობლის ხელისუფლებამ მოუწოდა ქვეყნის მცხოვრებ ქალბატონებს, თავი შეიკავონ მემკვიდრის ჩასახვისაგან 2018 წლამდე, რათა თავიდან იქნეს აცილებული მძიმე სენით ბავშვების დაბადება (მხედველობაშია მიკროცეფალია). კოლუმბიაში ქალებს მოუწოდებს, თავი შეიკავონ ჩასახვისაგან 6-8 თვის განმავლობაში.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა „აქავერსი კოსმოსის“ გაშვების თარიღი დაადგინეს

„აქავერსი“ კოსმოსური ავტონომური სახეობის A-10-ის ჩამოწმების გეგმა წარმოდგენილი იყო 2015 საფინანსო წლის ბიუჯეტის პროექტში. მაგრამ, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსის პირველმა მოადგილემ გენერალმა დევიდ გოლდფინმა აღნიშნა, იგი დაამუშავებს ჯერ კიდევ ისლამურ

რი სახელმწიფოს გამოჩენამდე და აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთის „აგრესიულ მოქმედებებამდე“.

ქაიროში ანთიქაბის დროს 10 ქაბი დაიღუპა, მათ შორის 7 პოლიციელი

პოლიციელები აწარმოებდნენ ოპერაციას ტერორისტების დასაკავებლად, რომლებიც იმალდებოდნენ სარამის რაიონში საცხოვრებელი სახლის ბინაში. ძალოვანებისთვის ცნობილი იყო, რომ იქ აწარმოებდნენ ასაფეთქებელ ნივთიერებებს. პოლიციელების ჯგუფი შეიჭრა ბინაში და იქ რამდენიმე თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინა. ერთ-ერთი ბომბის გაუფრთხილების მცდელობის დროს გაისმა ძლიერი აფეთქების ხმა.

ამერიკის აღმოსავლეთში მოსალოდნელი ტოქსიკური ქაიროსილი გავრცელება

პროგნოზების თანახმად, თოვლის ფრონტი მოძრაობს ატლანტის სანაპიროს მიმართულებით, სადაც თავს დაესხმის ცალკეულ რაიონებს უკვე 22 იანვარს. ყველაზე საგანგაშო ვითარებას ელოდებიან დედაქალაქში, ვაშინგტონში, სადაც უკვე მოვიდა დიდი თოვლი. ამ ქალაქში გრძელდება გახდეს ყველაზე ძლიერი უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში.

სოროსი: რუსეთს საერთაშორისო რეზერვები 2 წელიწადს ვაჭრავს

ამის შესახებ ცნობილია ამერიკელმა ფინანსისტმა ჯორჯ სოროსმა განაცხადა. მისივე თქმით, არასახარბიელო ეკონომიკური კონიუნქტურის პირობებში რუსეთს ჯერ საკმარისი რესურსი რჩება. ანალოგიური განცხადება გააკეთა რუსეთის ბანკმა, რომლის თანახმადაც, ქვეყნის საერთაშორისო რეზერვები დღეისათვის 368 მილიარდ დოლარს აღემატება. რუსეთის ეკონომიკა კატასტროფულ მდგომარეობაში მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი დაეცა. დღეისათვის ერთი ამერიკული დოლარის ღირებულება 83, 59 რუბლს შეადგენს, ევროს კურსმა კი 91 რუბლს გადააჭარბა.

საფრანგეთში საგანგებო რეჟიმი „ისლამური სახელმწიფოს“ განადგურებაზე შენარჩუნდება

საფრანგეთში ამოქმედებული საგანგებო რეჟიმი, რომელიც პრეზიდენტ ოლანდის გადაწყვეტილებით, 13 ნოემბრის პარიზის ტერაქტების სერიის შემდეგ შემოიღეს, „ისლამური სახელმწიფოს“ განადგურებამდე გაგრძელდება. ამის შესახებ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა მანუელ ვალსმა ტელეკომპანია „ბიბისის“ ეთერში განაცხადა. „საგანგებო რეჟიმის გაუქმებას იმდენი დრო დასჭირდება, სანამ ჩვენ „ისლამურ სახელმწიფოს“ სრულად არ გავანადგურებთ. ჩვენ უნდა გავანადგუროთ „ISIS“ აფრიკასა და ასლო

აღმოსავლეთში. ჩვენ ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალურ საომარ ვითარებაში ვიმყოფებით და ბრძოლა, რომელსაც ვაწარმოებთ, უნდა იყოს სრულფასოვანი და დაუნდობელი“, - განაცხადა მანუელ ვალსმა დავოსში, სადაც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი იმართება.

მისი თქმით, იმ მომენტამდე, სანამ ტერორიზმის საფრთხე იარსებებს, ყველა საშუალება უნდა გამოვიყენოთ მის წინააღმდეგ.

შეგახსენებთ, რომ საფრანგეთში საგანგებო რეჟიმი 2015 წლის 26 ნოემბერს, პარიზის ტერაქტების სერიის შემდეგ გამოცხადდა.

სკოლაში მოხდა რამდენიმე ანთიქაბის შედეგად 3 მოსწავლე დაიჭრა

თურქეთში, ბაგლარის რაიონის ერთ-ერთ სკოლაში, სასკოლო მოწყობის დროს, ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობის აფეთქების შედეგად 3 ბავშვი დაშავდა. თურქეთის ხელისუფლებამ მომზადარზე პასუხისმგებლობა ქურთისტანის მშრომელთა პარტიის მებრძოლებს დააკისრა. მოზდარზე დაწყებულია გამოძიება. სამივე დაჭრილი მოსწავლე პოსპიტალიზებულია.

კოლუმბია და ამერიკელმა რეგიონალური სახელმწიფოების მიერ მოხდეს

სამიტი გაეროს გენერალური ასამბლეის სესიის ფარგლებში უნდა გაიმართოს სექტემბერში. მასზე მიღებული უნდა იქნეს „სახლი კონკრეტული ვალდებულებანი იმის შესახებ დასაფართოებლად, რომლებიც შეეხება ლტოლვილებს მთელ მსოფლიოში“. ასევე საუბარი იქნება იმ სახელმწიფოთა მხარდაჭერის შესახებ, რომლებიც აღმოჩნდნენ ამ კრიზისის ცენტრში.



© „რევიზორი“ „მედიაჩეკერი“

მეტს არაფერს უშავებს მედია?!

20 იანვარს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ ერთწლიანი პროექტის, „მედიაჩეკერის“, მუშაობის შედეგები შეაჯამა. პროექტის ფარგლებში, მონიტორინგი ჩატარდა ქართულ მედია-საშუალებებზე. როგორც „მედიაჩეკერები“ ამბობენ, მედიაში სამი ყველაზე სერიოზული დარღვევა შეინიშნება: უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა, ფარული რეკლამა და, ხელშეკრულების ფარგლებში, ახალი ამბების გაშუქება.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის აღმასრულებელი დირექტორი ნატა ძველიშვილი ამბობს, რომ „მედიაჩეკერის“ მონიტორინგი აკვირდებოდა მედიასაშუალებებს და ამონიშნებდა, რამდენად შეესაბამება გამოქვეყნებული თუ ტრანსლირებული მასალა ჟურნალისტურ სტანდარტებს. მისი თქმით, გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი დარღვევა. მათ შორის არის ის, რომ ხშირად მედიორგანიზაცია ხელშეკრულებას დებს ამა თუ იმ უწყებასთან და შემდეგ იძულებულია, ისეთი ნიუსებიც გააშუქოს, რომელიც საზოგადოებისთვის საინტერესო არ არის:

„საჯარო უწყებებს გაფორმებული აქვთ ხელშეკრულება სხვადასხვა სააგენტოებთან, რომლის ფარგლებშიც სააგენტო აქვეყნებს ყველა იმ მასალას, რასაც საჯარო უწყება გაუგზავნის. მაგალითად, როდესაც პარზის ტერაქტი მოხდა, თანამდებობის პირებმა სამომხრის წიგნში ჩანაწერები გააკეთეს. რამდენი პირიც მოვიდა და რამდენი

ნი ჩანაწერიც გაკეთდა, იმდენი ახალი ამბავი მომზადდა.“

დარღვევები მეტწილად ყველაგან არის. ერთი, რაც გამოიკვეთა, ისაა, რომ სიძულვილის ენას უფრო მეტად იყენებენ ბექდურ და ონლაინმედიაში, ვიდრე ტელევიზიაში...

* * *

ნატა ძველიშვილის თქმით, კარგია, თუ ამგვარი ხელშეკრულება საერთოდ არ დაიდება, მაგრამ თუ ის მაინც არსებობს, სჯობს, საზოგადოებამ იცოდეს, რომ ესა თუ ის ახალი ამბავი ხელშეკრულების ფარგლებში შუქდება.

„მედიაჩეკერის“ რედაქტორი სალომე აჩბა ამბობს, რომ წლის განმავლობაში მონიტორინგისთვის შერჩეული მედიასაშუალებები იცვლებოდა, რათა მონიტორინგს რაც შეიძლება ფართო სპექტრი მოეცვა:

„დარღვევები მეტწილად ყველაგან არის. ერთი, რაც გამოიკვეთა, ისაა, რომ სიძულვილის ენას უფრო მეტად იყენებენ ბექდურ და ონლაინმედიაში, ვიდრე ტელევიზიაში.“

ნატა ძველიშვილის თქმით, კიდევ ერთი დარღვევა რეკლამას ეხება. მისი თქმით, მაუწყებლობის კანონი გასართობი გადაცემებში სხვადასხვა კომპანიების პროდუქციის განთავსებას არ ენიშნავს. მაგრამ მას არ უნდა მიენიჭოს დიდი მნიშვნელობა და ასევე მაყურებელს პირდაპირ არ უნდა მოუწოდონ შეძენისკენ.

„მესამე საკითხი უკვე არის კრიმინა-



ლური საკითხების გაშუქება, როცა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ირღვევა, როცა პირი მოიხსენიება მკვლელად, ამ დროს კი ბრალი ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული, ან ხდება ისეთი პირადი დეტალების განმარტება, რომელიც საქმესთან კავშირში არაა, სტერეოტიპული დამოკიდებულება იკვეთება და ასე შემდეგ“...

აი, მაგალითად, რა სიტუაციაა ბალანსის დარღვევისას: იმდენი რამე არის ნათქვამი, იმდენი რესპონდენტი ჰყავთ, რომ თუ მახვილი თვალი არა გაქვს, ვერ დაინახავ, რომ ვინც არის ადრესატი, სწორედ ის არ ჰყავთ ჩანაწერილი...

* * *

პროექტის ერთ-ერთი მონიტორი თამარ კარელიძე ამბობს, რომ ძალიან ხშირად ირღვევა ბავშვების უფლებები: მათ შესახებ ინფორმაცია შუქდება ისე, რომ შესაძლებელია ბავშვის იდენტიფი-

ცირება, პირდაპირ სახელით და გვარით თუ არა, სხვა დეტალების მეშვეობით მაინც.

გარდა ამისა, თამარ კარელიძე ლაპარაკობს ბალანსის დარღვევაზეც, როდესაც ამა თუ იმ სტატიასა თუ სიუჟეტში ყველა მხარე არ არის წარმოდგენილი.

ამ პროექტის ფარგლებში, მონიტორინგთან ერთად, გათვალისწინებულია აღმოჩენილ დარღვევებთან დაკავშირებით კრიტიკული სტატიების მომზადება და ვებგვერდზე განთავსება. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ასევე ჟურნალისტთა დამხმარე სამართლებრივი ბანა. ვებგვერდს აქვს აგრეთვე ქართული ენის მართლწერის მოდული, რომლის მიზანია მედიაში ქართული ენის სწორად გამოყენების ხელშეწყობა.

თია თოფურია,
რადიო „თავისუფლება“

© თვალსაზრისი

საქართველოსთვის ერთნი შენელონად საინტერესო დრო დგება, მთავარია, რამდენად შეძლებს აპყვეს ქართული ხელისუფლება მსოფლიოში მომდინარე გლობალურ პროცესებს, ახალ გამოწვევებს. სამყარო უკვე მთლიანად შეიცვალა. მსოფლიოში ნავთობის დიქტატი დასრულდა და იწყება ახალი განვითარება. ქვეყნები, რომელთა შემოსავალი ძირითადად დამოკიდებული იყო ნავთობდოლარებზე, ფაქტობრივად, არსებობის რისკის ქვეშ დადგნენ, ეს ეხება ყველა ქვეყანას გარდა ირანისა, რომელსაც რამდენიმე დღის წინათ მოუსხნეს ემბარგო.

ამ ქვეყანათა დიდ ნაწილს მართავდა და მართავს კორუფციული ელიტა, ამ ქვეყნებში ყვოდა კორუფცია, შესაბამისად უსახსრობისა და ღრმა, ყოველსომომცველი კრიზისის პირობებში ამ ქვეყნებში დაინიშნება მასობრივი გამოსვლები, არეულობები, დაიწყება ამ ქვეყნების რღვევა. ეს ყველაზე დიდ წილად ეხება რუსეთს, სადაც ნავთობდოლარები შეადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტის 40 პროცენტს. რუსეთი რეალურად ჰაერში გამოკიდებული რჩება.

თუ გავითვალისწინებთ სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ, რუსეთს არ ექნება საგარეო ბაზარზე სესხების აღების საშუალება. ასევე გასათვალისწინებელია რუსეთის კატასტროფულად შემცირებული სავალუტო რეზერვი. ჯამურად, მოკლე პერიოდში რასაც უნდა ველოდეთ რუსეთში, ეს არის რუსული რუბლის სრული ჰიპერინფლაცია, რასაც მოყვება პირველ ეტაპზე მცირე და საშუალო ბანკების გაკოტრება, თანამშრომელთა ხელფასების კატასტროფული შემცირება კერძო სექტორში, უხელფასობა სახელმწიფო სექტორში და თვე-

რჩენა და იმედი სარჩელ სიტყვებად რომ არ დარჩეს!

გლობალური პოლიტიკა და საინფორმაციო ღრმადი საქართველოსთვის

ობით დაგვიანებული პენსიები. ბუნებრივია, ეს ყველაფერი გამოიწვევს მასობრივ უკმაყოფილებას, პენსიონერთა გამოსვლებს, რეგიონების დაუმორჩილებლობას. საბოლოოდ – სამოქალაქო ომს და რუსეთის რღვევას, რუსეთს ამ ფორმაციით არსებობის სამი წელი დარჩა.

რეალურად ძალიან ცუდი სიტუაციაა აზერბაიჯანში, სადაც ასევე მოსალოდნელია აზერბაიჯანული მანათის სრული დევალვაცია, უკვე ეხედავთ, რომ კვირის განმავლობაში რამდენიმე დღით ხურავენ სავალუტო ჯიხურებს, იგივე მდგომარეობაა ყაზახეთსა და თურქმენეთში.

არსებული სიტუაცია სახარბიელოა საქართველოსათვის. ყაზახეთს, თურქმენეთს, აზერბაიჯანს, ირანს ესაჭიროება დამატებითი შემოსავლები, გზა ევროპასა და თურქეთისკენ საქართველოს გავლით გადის.

ამ მდგომარეობაში, როდესაც ამ ქვეყანათა ყოფნა-არყოფნის საკითხი დგება, ისინი იძულებულნიც და ვალდებულიებიც არიან, ეძებონ ახალი გასაღების ბაზრები, შესა-

ბამისად განახლდებოდა მივიწყებული NABUCO-ს პროექტი, ასევე დაიწყება ახალ და უფრო მსხვილ ფართომასშტაბიან პროექტებზე ფიქრი. რუსეთს ამ ქვეყნებზე ზენოლის ფაქტორი ძალიან უმცირდება ორი მიზეზის გამო. პირველი – რუსეთს მათთვის სანაცლოდ არაფრის შეთავაზება არ შეუძლია, მეორე – რუსეთი გახვეულია საკუთარ გამოუვალ ეკონომიკურ ტურბოლენტურ პრობლემებში.

ნებზე მოდის მსოფლიო შიდა პროდუქტის 60 პროცენტი და მსოფლიო ვაჭრობის 33 პროცენტი. აშშ-ს სურს, აამოქმედოს ტრანსნაცინარი ოკეანის ხელშეკრულება, რომელსაც 2015 წლის ოქტომბერში ატლანტაში ხელი მოაწერა 12 ქვეყანამ. ამ ქვეყნებზე მოდის მსოფლიო ვაჭრობის 40 პროცენტი.

ბუნებრივია, ორივე ხელშეკრულებაში ფიგურირებს აშშ, რომელიც აკონტროლებს მსოფლიო ვაჭრობის 10 პროცენტს, თუ ორივე ხელშეკრულების ჯამურ ვარიანტს განვიხილავთ, მივიღებთ, რომ აშშ დაინიშნება მსოფლიო ვაჭრობის 73 პროცენტის გაკონტროლებას.

ასევე საინტერესოა შეთანხმება ვაჭრობასა და მომსახურებაზე, (TISA), რომლის განხილვაც 2012

წელს დაიწყო აშშ-სა და ავსტრალიას შორის, რომელიც რეალურად განიხილება როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ალტერნატივა, ვინაიდან მოლაპარაკებები WTO-სთან გენერალური ხელშეკრულების ვაჭრობის მომსახურების შესახებ ჩიხში შევიდა ამ ორგანიზაციის მოუქნელობის გამო.



სა ევროპიდან

ლევან კობიაშვილი: ძალიან სამწუხაროა, რომ ჩემსა და კახას შორის კომუნიკაცია ამ ფორმატში გადავიდა

საძირითადი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის კახა ცხადაძის მიერ გამართულ პრესკონფერენციას ესმაურობა.

„ძალიან სამწუხაროა, რომ ჩემსა და კახას შორის კომუნიკაცია ამ ფორმატში გადავიდა. მე მასთან მოლაპარაკებები თვემანებარია მაქვს და ჩვენ მას გააცანით ყველა ის პირობა, რასაც ვთავაზობთ. ქართული ფეხბურთის ინტერესებიდან გამომდინარე, მიმართა, რომ ეს საკითხები არის ფედერაციის მმართველობის და ეროვნული ნაკრების მწვრთნელს შორის დიალოგის თემა, თუმცა, მან სხვა



ფორმატით აირჩია საუბარი. როგორც იცით, მე არ ვიმყოფები საქართველოში. შესაბამისად, საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, საქართველოში დაბრუნებისთანავე მოვიწვევ

პრესკონფერენციას, სადაც დანერვილებით ვისაუბრებ ყველა დეტალზე და იმ პირობაზე, თუ რას ვთავაზობთ ჩვენ მას. მზად ვარ ყველა კითხვაზე გავცე პასუხი და დეტალურად ვისაუბრო ნაკრების მწვრთნელების სახელფასო ანაზღაურების იმ სისტემაზე, რასაც ვწინააღმდეგობაობა, - აცხადებს ლევან კობიაშვილი.

სფფ-ს პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი პრესკონფერენციას დღეს 13 საათზე მიხილ მესხის სახელობის სტადიონის მედიაცენტრში მოაწყობს. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი და გენერალური მდივანი დავით მუჯირი იმყოფებოდნენ მინსკში, სადაც „განვითარების თასის“ ფარგლებში გასამართლეს შეხვედრას დაესწრნენ, შემდეგ კი ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსნებს ოფიციალური ვიზიტით ნიონში ყოფნისას უფასო სათავო ოფისში შეხვედრები ჰქონდათ.

გიორგი შოთაძე

დაჯილდოება

საუკეთესო - მოქალაქე ქალთა ნაკრები



ბთი წელიწადში, რადიო „ჯაქო“ (სელმდგანელი ჯამლეტ სუხაშვილი) სპორტის არაოლიმპიურ სახეობებში საქართველოს საუკეთესო სპორტსმენთა გამოსავლენად შურნალისტთა ტრადიციულ

გამოკითხვას აწვობს. გამონაკლისი არც წლეულს ყოფილა. 2015 წლის შედეგებით პირველი ადგილი საქართველოს მოქალაქე ქალთა ნაკრებმა დაიკავა, რომელმაც შარშან მსოფლიოს ჩემპიონატი მოი-

გო და ევროპის ჩემპიონატზე მე-სამე ადგილი დაიკავა.

საუკეთესო ათეულში მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: 2. მორაგბე ვაჟთა ნაკრები, 3. ვასტანგ ჩიდრაშვილი (მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი სამბოში), 4. დავით ლორიაშვილი (მსოფლიოს ჩემპიონი სამბოში), 5. პაატა ლვინიაშვილი (საქართველოს ფალვანი), 6. ლევან სალინაშვილი (მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი მკლავჭიდიში), 7. იმედა ჭინჭარაული (მსოფლიოს ჩემპიონი მკლავჭიდიში), 8. ავთანდილ ცერცვაძე (ევროპის ჩემპიონი სუმოში), 9. დავით ტყეშელაშვილი (მსოფლიოს თასის მფლობელი კარატეში), 10. ზურაბ ბუცხრიკიძე (მკლავჭიდი).

საუკეთესო სპორტსმენების დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი საგამოფენო ცენტრ ექსპო ჯორჯიას მესამე პავილიონში გაიმართა.

ლაშა დიდი

სურათში: საქართველოს მოქალაქე ქალთა ნაკრები. ვაჟთა დანაწილებს ფოტო.

წყალპურით

მე-14 ადგილს დასჯერდნენ

საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ბელგრადში გუშინ დაასრულა ასპარეზობა ევროპის ჩემპიონატზე, რომელშიც 16 გუნდი მონაწილეობს.

საძირითადი სლოტები 9:10 (2:2, 2:1, 4:4, 1:3) საქართველო: ნიკოლოზ შუბლაძე, ბექა ქავთარაძე (2), დამირ ცრეშულია, მარკო ელენი (1), ანდრია ბითაძე (1), მარკო ელარი (2), გიორგი სვედელიანი, მიხეილ ბალათურია (1), ზურაბ რურუა (1), კოტე გეგელაშვილი (1), სვირა ჯახაია, რევაზ იმნაიშვილი, ივან სტრუჩი.

სლოვაკეთი: ლუკაშ კოზმერო, მარტინ ფამერა (2), ჯურან ზატოვიჩი (3), იოზეფ პროსიკი, ლუკაშ დურჩიკი (1), სამუელ ბალაზი, ლუკაშ სემანი (1), მაროშ ტკაჩი (2), ტომაშ ბიელიკი, კრისტინ პოლოვიჩი, მარტინ კოლარიკი, ტომაშ ბრუდერი (1), მიხაელ გოგოლა.

მატჩი ქართველ წყალბურთელთა იერიშებით დაიწყო და მე-2 წუთზე ელენმა ანგარიში გახსნა. აქედან მოყოლებული, სლოვაკები პაექრობის ბოლო წუთამდე მდევრის როლში იყვნენ. 44 წა-

მის შემდეგ ფამერამ ნონასნორობა აღადგინა. მესამე წუთზე ქავთარაძემ ისევ დანაწილება თავისი გუნდის პირველი პერიოდის ბოლომდე ზატოვიჩმა ანგარიში გაქცია. მეორე-მეოთხე რვაწუთიან მონაკვეთებში იოვან პოპოვიჩისა და ვლადიმერ ისელიძის შეგირდები ხან ერთი, ხან ორი ბურთით იყვნენ წინ. ფინალურ სირენამდე 2 წუთით ადრე ჩვენები შეხვედრას ჯერ კიდევ იგებდნენ - 9:8. დარჩენილ დროში სლოვაკებმა ორი უპასუხო გოლი გაგვიტანეს, გაიმარჯვეს - 10:9 და მე-13 ადგილზე გავიდნენ. ქართველი წყალბურთელები მე-14 ადგილს დასჯერდნენ.



ლემსო ცინცაძე

საქალაქურთო მოზაიკა

ზაზა ფაჩულია: ეს დღეები ყველაზე დასამახსოვრებელი იქნება ჩემს ცხოვრებაში

„ოლ სტარზის“ საბოლოო შედეგის გამოცხადების შემდეგ ზაზა ფაჩულიამ თავის ოფიციალურ ფეისბუქის გვერდზე ქართველ გულშემატკივრებს მიმართა და მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. ზაზას კომენტარს უცვლელად გთავაზობთ:

„ძალიან დიდი მადლობა ყველას, განურჩევლად, ასეთი დაფასებისა და თანადგომისთვის. ეს დღეები ყველაზე დასამახსოვრებელი იქნება ჩემს ცხოვრებაში. ყველა ვარსკვლავის“ თამაშზე მხედრებზე უფრო მეტი თქვენი სიყვარული და მხარდაჭერა. ძალა ერთობაშია“.

„ოლ სტარზის“ გამოკითხვაში დასავლეთ კონფერენციის წინააზნებში ზაზა ფაჩულიამ 768 112 ხმით მეოთხე ადგილი დაიკავა, მესამე ადგილზე გასულ კავაი ლეონარდს მხოლოდ 14 227 ხმით ჩამორჩა და ისეთ ლეგენდებს გაუსწრო, როგორც ტიმ დანკანი და დირკ ნოვიცკი არიან.

ცნობისთვის: ზაზა რომ აღმოსავლეთ კონფერენციაში ყოფილიყო, 768 112 ხმით მხოლოდ ლებრონ ჯეიმსს ჩამორჩებოდა და მეორე ადგილზე გავიდოდა.



„ოლ სტარზის“ საბოლოო შედეგის გამოცხადების შემდეგ ზაზა ფაჩულიამ თავის ოფიციალურ ფეისბუქის გვერდზე ქართველ გულშემატკივრებს მიმართა და მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.



ჯგუფის შესვენებები სექტემბერში მოეწყობა.

ბუშინ მიუნხენში გაიმართა ევრობასკეტ 2017-ის საკვალიფიკაციო რაუნდის კენჭისყრა, სადაც საქართველოს ეროვნული ნაკრები პირველ კალათაში იყო განთავსილი.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ საწუნუნო არაფერია - ალბათ, არაფერია უნდა შეგვიშალოს ხელი, ზედმეტად მეოთხედ გავიდეთ დასკვნით ეტაპზე: საქართველო, მონტენეგრო, სლოვაკეთი, ალბანეთი.

მვრლიობა. მეორე ჯგუფური ტურნირი: „კუჩა ლაბორალი“ - ცსკა 81:71. თორნიკე შენგელიამ 11 ქულა და 6 მოხსნა მოაგროვა.

დღეს 14 საათზე, ახალ სპორტის სასახლეში, დაიწყება ქართული „ოლ სტარზი“.

ვიტალი ჯაფარიძე

საერთო თხილავურები

მსოფლიო სლალომში

სამთო თხილამურებაში საქართველოს 2016 წლის თასის მეორე ეტაპი ბაკურიანში - დიდულის ტრასაზე გაიმართა. ამჯერად მხოლოდ სლალომში გათამაშდა გოგონათა და ვაჟთა შორის სამ ასაკში საპრიზო ადგილები, რადგან მეორე დღეს ძლიერი ქარის გამო გიგანტურ სლალომში ასპარეზობა გაუქმდა.

გოგონები 2002-2003 წლებში დაბადებულნი. 1. ნინო კურტანიძე (ბაკურიანი, 1.43,51), 2. ანუკი ჩოგოვაძე (აჭარა, 2.12,39), 3. მარიამ პაქსაძე (აჭარა, 2.19,75); 2000-2001 წ.წ. 1. თამარ ბარბარაიანი (ბაკურიანი, 1.29,93), 2. ანა ჩართოლანი (სვანეთი, 1.37,30), 3. მათაბა ჯაფარიძე (სვანეთი, 1.43,85); 1999 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი. 1. მარიამ ჭკადუა (თბილისი, 1.36,24), 2. მარიამ ხუციშვილი (წმ. გიორგის სკოლა, 1.53,09), 3. სალომე კვიციანი (თბილისი, 1.53,46).

ვაჟები 2002-2003 წ.წ. 1. ნოდარ კოზანაშვილი (ბაკურიანი, 1.32,90), 2. თაბო ჯაფარიძე (სვანეთი, 1.39,59), 3. სანდრო ჩინწალიძე (ბაკურიანი, 1.41,30); 2000-2001 წ.წ. 1. ლაშა კურტანიძე (1.21,11), 2. გიორგი ქურდოლიანი (1.28,98), 3. ლევან ბოგიშვილი (სამივე-ბაკურიანი, 1.32,79); 1999 წ. ბესო ჯაფარიძე (სვანეთი, 1.17,85), 2. თენგივ მესხიძე (აჭარა, 1.36,18), 3. ლაშა მესხიძე (აჭარა, 1.38,40).



გიორგი ბაბუა

ველომოგზაურობა



850 დღე ველოსიპედით

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის - ილია მეორის ლოცვა-კურთხევითა და საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერით ქართველმა ველომოგზაურმა ნოდარ ბერიძემ თბილისიდან გუშინ აიღო სტარტი და 850 დღის განმავლობაში ევროპის, აზიისა და აფრიკის 50-ზე მეტ ქვეყანას მოივლის, დაფარავს 50.000 კილომეტრს, შეხვედება მილიონობით ადამიანს და სამშობლოში 2018 წლის 26 მაისს დაბრუნდება. ეს მსოფლიო ველომოგზაურის, მშვიდობის დესპანის, გინესის 14-გზის რეკორდსმენ ჯუმბერ ლეჟავას ოცნება იყო - დიდი ქართველი პოეტის - შოთა რუსთაველის 850 წლისთავთან დაკავშირებით გრანდიოზული ველოტური მოეწყო და სხვადასხვა კონტინენტზე 850 დღის განმავლობაში ველოსიპედით ემოგზაურა. ბატონი ჯუმბერის უეცარი

გარდაცვალების შემდეგ ეს მისია მისმა შეგირდმა ნოდარ ბერიძემ იტვირთა. ამ დიდი მოგზაურობისთვის მოსამზადებლად მან 2014-2015 წლებში საქართველოში, უკრაინასა და ამიერკავკასიაში ექვსი ველოტური მოაწყო.

850-დღიანი ველომოგზაურობის დანიშნულებაა მშვიდობისა და ტოლერანტობის პროპაგანდა - ლეგენდარული ჯუმბერ ლეჟავას პროექტის გაგრძელება, ხოლო მიზნები - შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილის ფართოდ აღნიშვნა; სპორტის, ცხოვრების ჯანსაღი წესის, ველოსპორტისა და ველოტურიზმის პოპულარიზება; ადამიანთა შორის დაკარგული კავშირების აღდგენა, თანამემამულეებსა და დიასპორებთან კავშირების გაფართოება...

თამაზ პატარაია



ბიძინა ივანიშვილმა 100 მილიონი ლაკარგა!

შინაშვილმა ბანკირმა ბიძინა ივანიშვილი 100 მილიონი ფრანკით აზარალა.
 ინფორმაციას ამის შესახებ შვეიცარული გამოცემა Handels Zeitung-ი ავრცელებს. როგორც გაზეთი წერს, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრმა ინვესტიცია დაკარგა, რომელიც ამერიკულ ფარმაცევტულ კომპანია RAPTOR-ში განახორციელა. გამოცემის ინფორმაციით, კომპანიის აქციები გაუფასურდა და ზარალმა 100 მილიონს მიაღწია, მაშინ, როცა კომპანიაში ივანიშვილს ერთ მილიარდზე მეტი ინვესტიცია ჰქონდა ჩადებული.

როგორც გამოცემა წერს, ივანიშვილის სახელით საფინანსო ოპერაციებს შვეიცარული ბანკის Credit Suisse-ის კონსულტანტი აწარმოებდა, რომელიც ამჟამად წინასწარ პატიმრობაშია. მომხდართან დაკავშირებით განმარტება Credit Suisse-მაც გააკეთა. ბანკში აცხადებენ, რომ ბანკირმა უფლებამოსილებას გადააჭარბა და ზედმეტ რისკზე წავიდა, რამაც კლიენტს დიდი დანაკარგი მიადგინა. როგორც გამოცემა წერს, ბიძინა ივანიშვილის გარდა ამ ოპერაციის შედეგად კიდევ ორმა სხვა ინვესტორმაც იზარალა.

გამოიწერეთ:
 6 თვით – 60 ლარი,
 1 წლით – 120 ლარი.
 მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორგე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 55155444; „ჯეომედია“ – 593 977 888.
 ჩვენი მისამართი:
 ქ. თბილისი, ი. მკვახიძის ქ. 7.
 ნაგებობის ინდექსი 66434

ვის სცხვლა, ვის სცივა...

მამაკაცები და ქალები თავს კომფორტულად გრძობენ ოთახის სხვადასხვა ტემპერატურაზე, ამტკიცებენ პოლანდიელი მეცნიერები. თუკი მამაკაცებს ურჩევნიათ ცელსიუსის 22 გრადუსი, ქალბატონებისთვის უფრო კომფორტულია 25 გრადუსი ტემპერატურა.
 ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ ქალის ორგანიზმი მამაკაცისაზე ნაკლებ სითბოს აწარმოებს: ქალბატონები, როგორც წესი, მამაკაცებზე უფრო პატარა ტანისანი არიან, კუნთების ნაკლები, ხოლო ცხიმის მეტი მასა აქვთ, კუნთები კი, ცხიმთან შედარებით, მეტ სითბოს გამოყოფენ. მეცნიერებმა გააანალიზეს დაედგინათ, თუ რამდენადაა გათვალისწინებული ქალების ინტერესები საზოგადოებრივ შენობათა გათბობისას. მათ მსუბუქი ფიზიკური საქმიით დაკავებული 16 ახალგაზრდა ქალბატონის, ძირითადად, მდივნის, მეტაბოლიზმის სიჩქარე გაზომეს. აღმოჩნდა, რომ მიღებული ციფრები იმაზე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე შაერის გათბობის, გა-

მინიმუმ 23 პროცენტს ან უხეხეს, მეცნიერებთა მაგისტრებსა და ბაკალავრებს შორის კი მათი რიცხოვნობა 8,4 პროცენტს შეადგენს. ამის მიზეზი ისაა, რომ განათლებული ადამიანები უფრო მეტად აფასებენ, თანაც გაცილებით ხარისხიანი სურსათის შექმნისა და ექიმებთან მეტი ვიზიტის საშუალება აქვთ. რას არ დაგამტკიცებენ ბრძენი ებრაელები.



უიშის მსხვერპლი

რუსეთში მედიკოსებმა უარყვეს პოპულარული სტერეოტიპი, თითქოს ძაღლები აგრესიულად რეაგირებენ შეშინებული კაცის ოფლში არსებულ ადრენალინზე.
 შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების პერმის სამხედრო ინსტიტუტის მეცნიერებმა ექსპერიმენტში სუთი გერმანული და ორი ბელგიური ნაგაზი, ასევე ერთი მგლისა და ძაღლის ნაჯვარი მონაწილეობდა.

ბრძანებით ძაღლებს მოხალისეთა მწკრივისკენ აგზავნიდნენ, რომელთაგან ერთ-ერთი სახელოში 0,1-პროცენტიანი ადრენალინის ფიზიოლოგიური ხსნარით დასველებულ დისკოს მალავდა. მეორე ექსპერიმენტში დისკო შეშინებული კაცის ცხიმოვან-ოფლიანი გამოწყობით იყო გაჯერებული. მესამე ვარიანტში კი ერთ-ერთ მოხალისეს კანქვეშ ადრენალინის ინიექციას უკეთებდნენ, რომელიც გულისცემის აჩქარებას, ალგზნებასა და კანვალს იწვევდა.

ყველა ძაღლი უშალ პოულობდა ადრენალით გაჟღენთილი დისკოს პატრონს, მაგრამ ცხოველთა მოქცევა ამ დროს ნეიტრალური იყო. ცხოველები აგრესიას არც ცხიმოვან-ოფლიანი გამოწყობებით დასველებული დისკოს პატრონის მიმართ იჩენდნენ. ექსპერიმენტატორთა გასაოცრად, ძაღლებს რეაქცია არც კანქვეშ ინსულინის ინიექცია გაკეთებულ მოხალისეზე ჰქონიათ, ერთ-ერთი გერმანული ნაგაზი კი მას ერიდებოდა კიდევ.



მაგრამ, როგორც კი რომელიმე მოხალისე უიშის იმიტაციას სახით მანჭვით ან უესტებით იწყებდა, ძაღლების ქცევა მაშინვე აგრესიული ხდებოდა. ამდენად, გაირკვა, რომ ძაღლების აგრესიისა და თავდასხმის მიზეზებია ადამიანის შეშინებული სახის მიმიკა და სხეულის მოძრაობები.



ცივებისა და კონდიციონერების ინჟინერთა ამერიკული საზოგადოების სპეციალისტების მიერ 1960 წელს გამოთვლილი ოთახის ტემპერატურის „ოქროს სტანდარტი“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ოფისების ტემპერატურა ქალიშვილებისთვის ზედმეტად დაბალია. ამის გარდა, გაირკვა, რომ ორივე სქესის მუშაკათათვის კონდიციონერების გათვლილი სიმძლავრე აშკარად ჭარბია. აქედან გამომდინარე, შენობების პატრონებს შეუძლიათ გარკვეული თანხები დაზოგონ როგორც გათბობაზე, ასევე მათ კონდიციონერებზე.

ცოდნის „წონა“

ისრაილელ მეცნიერთა დაკვირვებით, განათლებული ხალხი... გაუნათლებლებზე ნაკლებს იწონის.
 თურმე, იმ პირთა შორის, ვისაც მხოლოდ საშუალო სკოლის დამთავრების დამადასტურებელი ატესტატი აქვს, ჭარბი წონა

ცინცხალი ანეკდოტები

- მზნ ერთადერთი და განუმეორებელი მიწოდა.
- მართლა ასე გითხრა?
- ჰო. შენნაირი ჩათლახი არც ყოფილა და არც იქნებაო.
- უსაფრთხოების ტექნიკის ძირითადი წესი ის არის, რომ თითები არ შეგვოთ დენის როზეტში, – ეუბნება მოსწავლეებს შრომის მასწავლებელი.
- მაგრამ მასში თითები ისედაც არ შეტევა, მასწ!
- შენც ლურსმნები შეგყავი, დებილო!
- სად არის შენი საკურსო დავალება?
- იმ ბიჭთან ჩხუბისას დავკარგე, რომელიც მიმტკიცებდა, რომ თქვენ სულაც არა ხართ უნივერსიტეტის საუკეთესო მასწავლებელი.
- თბშში გაგიღებებს ხოლმე ფიქრი სექსზე?
- გამიღებებს კი არა, ის თავში ცხოვრობს.
- მამი, საიდან ჩნდებიან სპილოები? – ეკითხება პატარა გოგო.
- აბა, როგორ გითხრა, – დაიბნა მამა.
- ლონდ შენც დედაჩემივით არ დაიწყო წეროებზე ლაპარაკი, – აწვევინებს გოგონა – თავად განსაჯე: რომელი წერო აწვეს სპილოს?



გმადლობთ, რომ ყველაზე ძველ და სანდო გამეთს კითხულობთ, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ აძლიერებთ „რესპუბლიკას“!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA
მარაბლის ქ. №7
ინდექსი 66434
 მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
 293-37-87
 599 36-00-35
 პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიანიშვილი
 599 53-76-16;
ალექო ასლანიშვილი
 599 56-81-86;
რუსლან რუსია
 599 17-21-21;
 პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე
 514 33-33-24
გამომცემელი:
 შპს „თანადრომა-ტავთი“
 „საქართველოს რესპუბლიკის“
 გამომცემელი“
 ტ: 599 79-76-79
 შპს „ახალი საუკუნე“
 იბეჭდება გამომცემლობა
 „კოლორში“
 რკინიგზის ჩიხი №20
 uac(უაკ)070.4(479.22)
 ს-323
 ISSN 2233-3851
 9 772233 385001
ავტორთა საყურადღებოდ!
 რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.